ISSN 1987-5355

სტილი

არქიტექტურა ინტერიერი დიზაინი

#58
2016
September, October,
November

STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN

CAPAROL

ფასადის დამცავების სისტემები

- ბუმბერაზ დანაზოგი 40%-ით გათბობაზე და გაგრილებაზე.
- ბინასრულებ ჯამური მიკროკლიმატი მთელი წლის განმავლობაში.
- ფასადი სახლი დამცავებისგან.

თბილი. ლამაზი. ძლიერი.

www.caparol.ge



JUNG

insta
Electric & Engineering

JUNG

"ჯგუფი" სახლი

ელექტრული ნაწილი: ინსტალაციები, ელექტრული ტექნიკის, ინტელექტუალური სისტემების, "ჭკვიანი" სახლების, ინტერფონების, ტელევიზიის, ანტენების, ინტერნეტ-ტელეფონიის, ოფისის, Wi-Fi და IP ქსელების.
ელექტრული ნაწილის, ინტელექტუალური ტექნიკის, ინტერფონების, ტელევიზიის, ანტენების, ინტერნეტ-ტელეფონიის, ოფისის, Wi-Fi და IP ქსელების

ნინო ბერიძე : ოფისის ოპერაციების მენეჯერი, სერტიფიცირებული
ბიზნესის მ. ინჟინერი : (995) 2 [illegible]
www.insta.ge

ელექტრული ნაწილი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲝᲜᲘ

გამომცემელი - საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია

მთავარი redaqtori - ნინო ღაღიძე

ინფორმაცია - ნინო ღაღიძე, დიმიტრი გელოვანი.

თარგმანი - ნატა ჯუჭანიძე

კომპიუტერული დიზაინი - თამაზ ჩხაიძე

reklama - შ.პ.ს. სტილი, დირექტორი ეკატერინე ჯავახიშვილი

AAG

Association of Architects of Georgia

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია

PUBLISHER - ASSOCIATION OF ARCHITECTS OF GEORGIA

CHIEF EDITOR - Nino Laghidze

INFORMATION - Nino Laghidze, Dimitri Gelovani.

TRANSLATION - Nata Kurtanidze

COMPUTER GRAPHIC - Tamaz Chkhaidze

ADVERTISEMENT - STYLE Ltd. Director Ekaterine Javakhishvili

www.archias.ge

0186 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #70ა

მობ: 593 42-74-73; 599 10-56-03; 558 28-29-30

70a Vaja-Pshavela ave, 0186 Tbilisi, Georgia.

Mob: (+995) 593 42-74-73; (+995) 599 10-56-03; (+995) 558 28-29-30

http://www.archias.ge

http://www.archiaward.com

E-mail: laghidze.n@gmail.com

სარეკლამო ტექსტის შინაარსზე
redaqcia პასუხს არ აგებს

არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია და ჟურნალი "სტილი" აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენს მიერ redaqtirebული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

ჟურნალის redaqcia იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველ-ყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაზუსტდეს თანაავტორთა ვინაობა!

ფორეკი

ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲐ ᲐᲕᲔᲡᲢᲘ ᲐᲜᲗᲔᲮᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ

VELA
Vistosi
LUCE PLAN
PROLICHT
KOLARZ
EGLO
linea light
PHILIPS
DELTALIGHT
fumagalli
Artemide

www.newlight.ge

www. archias.ge



მზადდება წიგნის მეორე ნაწილი

გამოცემაში მონაწილეობის მსურველებს
დაგვიკავშირდით:

e-mail: laghidze.n@gmail.com

„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია“ და ჟურნალი STYLE -ს ეგიდით გამოიცა წიგნი - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები". გამოცემა გაყიდვაშია თბილისის წიგნის მაღაზიებში.

წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია.

დაწყებულია წიგნის II ნაწილზე მუშაობა. დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერესოდ განვავრცოდ, მითუმეტეს, რომ ინტერესი პროფესიონალების მხრიდან მზარდია.

დაგვიკავშირდით მისამართზე:
ვაჟა-ფშაველას გამზ. 70ა
მობ: +995 593 42 74 73
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” - Book

Project organizers: STYLE Magazine, Association of Architects of Georgia

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” is only the beginning of our project. We started work on the second volume of the book, in which we hope to further explore the past and present of Georgian art, especially considering that the professionals already start to show increasing interest toward our activity.

please contact us at the following address:
70a Vaja-Pshavela ave., Tbilisi, Georgia;
Mobile: +995 593-427473
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

Mob. +995 593 42-74-73; +995 599 10-56-03

NATALI CONSULTING GROUP

CONCEPT

SPA AND BEAUTY INDUSTRY

–

Spa project planning

–

Idea and Spa Design

–

Spa machines and full pack of equipment

–

Spa products

–

Consulting and branding of projects

–

Consulting and training of staff

–

Spa development and operation

Copyright 2010

ნამდვილი თერაპევტი

"ნიკოლი ჯეკსონ"
დაარსებულია

"ნიკოლი ჯეკსონ", რომელიც 2003 21 წელია სიფაფაზის ინდუსტრიის ელიტარული და ოჯახისდამეგობრული ოთხეულ, რომ დარგის ლიდერია საქართველოში, ახალი ბრენდიდან - სიკეთისა და ჯანმრთელობა ეფუძნა "სპა კონცეპტი" წარმოდგენილი.

7 აგვისტს "სპა კონცეპტის" სამოგზაურებლად წარდგა ბოლოდროინდელ ეპოქალურ ინოვაციებს წარმოიშვა ეფექტიანი ინოვაციაა, სადაც ოქვენ შეიძლებთ ნებისმიერი დისკომფორტის ბიჭის ბუნებრივი კოლაგენის ნაგებს სამკურნალო ეფექტიანი.

რა ბიბს სპა კონცეპტის წარმატების საიდუმლო?

პირველი ეტაპი მეგზეული ბარტყები, ოფლი ძალიან ადად პროფესიონალიზაციაზე ზრუნავენ. ძალიან ეფექტური კონცეფციის ბენეფიციარი ითვალისწინებს სპა პროფესიონალებს, ფაქტობრივად ყველა სიტყვიერის, ოფლი და ნიკაბის ეფექტურობისაგან.



ოფიციალური
წარმომადგენელი
საქართველოში
"ნიკოლი ჯეკსონ"

SPA CONCEPT

სპა [ბრილიანტი]

ეკონომიკური



GERMAINE DE CAPUCCINI

ბოლოდროინდელ ბანაბანზე საუკეთესო ხელოვნური ბრილიანტი კრისტალური ბანი, რომელიც ყველაზე პრესტიჟული სასტუმროები და ესთეტიკური ცენტრები ეძიებენ.





რაზომ "სპა კონცეპტი"?

ხელი, ხასიათი გამოყენებული. იდეა, დიზაინი, ბრილიანტის დიფერენციალი და განსხვავებული. სრული სერვისი ბაზიდან, ვიზიტიდან სრულყოფილებამდე და განსაკუთრებული სპას შეგრძნება ხელს.

სპეციალიზ ბრილიანტებზე

წამყვანი ევროპული გრანდები

დიზაინერები

რეალურად

ფიზიკურ სფეროში, ეკონომიკა ეფექტური, კლიენტი სიტუაციური, ფიზიკურ გარეშე, კლასიკური ბილეული, ფასის ფიზიკურ ეფექტი და ბიზნესი ხანგრძლივ ინოვაციაზ.

მოგვყვეთ სპა სახლი

SPACE

(+995 32) 245 45 93
(+995) 577 03 40 60
12 Tamadze str. Tbilisi
www.spaconcept.ge
spaconceptgeorgia

SPA CONCEPT SHOWROOM

1. GERMAINE de CAPUCCINI SPA Products; 2. MIMI Chair; 3. GRISETTE Mirror; 4. GERMAINE de CAPUCCINI Professional Beauty Diagnosis; 5. Mirror by designer Philippe Starck; 6. WET TABLE; 7. Chair for Pedicure and Manicure; 8. Treatment Bed with Himalayan Salt; 9. Pagoda Flower Lamp; 10. Shirodhara - Furnishing Accessory; 11. Decorative waterfall; 12. Massage Bed

OFFICIAL DISTRIBUTOR IN GEORGIA
"NATALI GROUP"

კერამიკული ფილები

"ირის კონცეპტის" საკონსულტაციო ჯგუფი, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, გაძლევთ საშუალებას აქამდე შეუძლებელი და განუხორციელებელი იდეების რეალიზება მოახდინოთ. უსაფრთხო კერამიკული დალები, რომელიც არ აიწვს გამოსახულება.



Discovering the secret of beauty in details



Iric Ceramica არის მსოფლიოს ლიდერი კერამიკისა და მოჭიქული კერამიკული დალების წარმოებაში. გამოიყენება კედლისა და იატაკის მოსაპირკეთებლად საცხოვრებელ, საფალო და სამრეწველო მოთხოვნებში.



QUALITY
& INOVATION

BakuBuild Azerbaijan

22nd Azerbaijan International Construction Exhibition

19 – 22 October 2016
Baku Expo Center, Azerbaijan

Find out more at
www.bakubuild.az

BakuBuild Azerbaijan

ROOM DESIGN GALLERY

WE MAKE ROOM DESIGN PHILOSOPHY

29 Pykiani Ave. | 0160 | Tbilisi | Georgia
Tel: +995 32 245 39 39
www.roomdesign.ge
E-mail: info@roomdesign.ge
Facebook: /roomdesign.ge





RD
Home & Living
რუმ დიზაინი

„გალერეა რუმ დიზაინი“ – ეს არის კონცეპტუალური, მულტიბრენდული შოურუმი, რომელიც შეიქმნა იმისთვის, რომ მომხმარებლებმა ისარგებლონ მხოლოდ მაღალი კლასის მომსახურებით – გამორჩეულ და კომფორტულ გარემოში. ჩვენთვის მთავარია, თქვენი სახლის ინტერიერის მოწყობის პროცესი იყოს სასიამოვნო. სწორედ ამისთვის შევქმენით „გალერეა რუმ დიზაინი“ – სადაც ერთ სივრცეშია თავმოყრილი ყველაფერი, რაც საჭიროა თქვენი ოცნების სახლისთვის. ჩვენ თქვენთვის ვქმნით ინტერიერის დიზაინის ფილოსოფიას – წამყვანი ევროპული ბრენდების ექსკლუზიური პროდუქციით.

„გალერეა რუმ დიზაინი“ – ეს არის კომპანია, რომელსაც 15 წელია ენდობიან მომხმარებლები, ლიდერი კომპანიები და ევროპელი პარტნიორები. ჩვენ ვყიდით ემოციას, მაღალი ხარისხის პროდუქციასა და კვალიფიციურ მომსახურებას – საუკეთესო ფასად. ეს არის შემოქმედებითი სივრცე, სადაც გხვდებათ 500 000-ზე მეტი დასახელების პროდუქცია, მუდმივად განახლებადი კოლექციები, პროფესიონალთა გუნდი და შედეგზე ორიენტირებული მომსახურება.

ROOM DESIGN GALLERY is a conceptual multibrand showroom which aims at providing the customers with exclusive top-quality service in a memorable and comfortable environment. Our top priority is to make creation of your home interior a pleasurable process. This is why we launched Room Design Gallery, where you can find everything you need for a home of your dreams. We develop your interior design philosophy – with the help of exclusive products from leading European brands.

ROOM DESIGN GALLERY is a Tbilisi-based business with a 15-year-old reputation of reliability among consumers, leading local companies and European partners. We offer positive emotions, top quality products, qualified service and state-of-the-art output at the best price. Room Design Gallery is a creative space where you will find over 500000 varieties of products, constantly renewable collections, a team of professionals and result-oriented service.

RD
Home & Living
რუმ დიზაინი

კერამიკა – ხარისხის უწყვეტი ევოლუცია

„გალერეა რუმ დიზაინი“ გთავაზობთ ნებისმიერი ფორმის, ზომის, ფერისა და ფაქტურის კერამიკულ და კერამოგრანიტის ფილებს ბინების, აგარაკების, სასტუმროებისა და ოფისების ინტერიერისა და ექსტერიერის მოსაპირკეთებლად. უახლესი ტექნოლოგიებით დამუშავებული, ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი სტანდარტებისა და ხარისხის შესაბამისი კერამიკული ფილები 3,5 მილიმეტრის სისქიდან, მოზაიკა, 3D კერამიკა, მარმარილო, გრანიტი, სადიზაინერო და არქიტექტურული კერამიკული ფილები. უახლესი კოლექციები მისაღები საფასო კატეგორიებით: ეკონომი, რეგულარი, პრემიუმი. ჩვენ უზრუნველვყოფთ ევროპიდან პროდუქციის ჩამოტანას, როგორც დაჩქარებულ ვადაში – 3-5 სამუშაო დღე, ისე რეგულარულ ვადაში – 2-3 კვირა.

ჩვენს შოურუმში წარმოდგენილი კერამიკული ფილები აერთიანებს დახვეწილ სტილსა და სრულყოფილ დიზაინს, იდეალურად უხდება ნებისმიერ გარემოსა და სივრცეს. წამყვანი ევროპული კომპანიებისგან ჩვენ თქვენთვის ვარჩევთ, მხოლოდ საუკეთესო პროდუქციას, რომელიც წარმოადგენს უწყვეტი ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ელეგან-ტურობის კომბინაციას. მათი შექმნისას დიზაინერები იღებენ ორიგინალურ გადაწვეტილებებს, ქმნიან ექსკლუზიურ კოლექციებს. ჩვენ კი ვითვალისწინებთ თქვენი ცხოვრების წესსა და მოთხოვნებს, ამიტომ შთაგონებული ვართ სურვილით, წარმოგიდგინოთ კერამიკის სფეროში არსებული უახლესი კოლექციები და დაგეხმაროთ სწორი არჩევანის გაკეთებაში.





CERAMICS
CONTINUOUS EVOLUTION OF QUALITY

Room Design Gallery offers you ceramic and reconstituted granite tiles of any shape, size, color and texture – suitable for interior and exterior design of apartments, houses, hotels and offices. We supply high-quality environment friendly ceramic tiles made using advanced production technologies ranging from 3.5 mm thickness up, mosaic tiles, 3D ceramics, marble, granite, designer and architectural ceramic tiles. Most up-to-date collections fall within reasonable price categories: economy, regular and premium. We provide expedited (3-5 working days) and regular (2-3 weeks) shipment from Europe.

Ceramic tiles featured in our showroom integrate elegant style with flawless design, perfectly matching any environment and space. We pick for you the best range of products made by leading European manufacturers and combining advanced technology, innovation and elegance. While creating them, designers apply original decisions, create exclusive collections. And we study your lifestyle and preference while inspiring ourselves with a willingness to offer you the latest available collections of ceramic tiles and help you to make the right choice.



შპალერი

ფერების გემოვნებიანი გამა, ტონალობების დახვეწილი ნოტები, ინტერიერის ატმოსფეროს აბსოლუტური შეგრძნება, დადებითი ემოციები, ელეგანტურობა, ხელოვნების ნიმუშების დონემდე აყვანილი კედლის საფარი – ეს ყველაფერი 50 000 სახეობის – ქაღალდის, ვინილის, ფლიზელინის, გობელენის, აბრეშუმის, 3D, ხელნაკეთ, სადიზაინერო და მეტალიზირებულ შპალერშია აკუმულირებული, რომელსაც „გალერეა რუმ დიზაინი“ გთავაზობთ.

ჩვენ ვახორციელებთ იტალიური, ჰოლანდიური, გერმანული და ბელგიური შპალერის იმპორტს ადგილობრივ ბაზარზე. ვართ ამ სფეროს ლიდერები და გთავაზობთ, მხოლოდ საუკეთესო, მაღალხარისხიან, ეკოლოგიურად სუფთა და ყველა ტიპის ინტერიერზე მორგებულ პროდუქციას. ჩვენს პორტფოლიოშია წარმატებით განხორციელებული პროექტები თბილისსა და საქართველოს დიდ ქალაქებში. ჩვენს მიერ იმპორტირებული შპალერითაა კეთილ–მოწყობილი პრეზიდენტის სასახლე, თბილისის საკრებულო, იუსტიციის სახლი, განათლების სამინისტრო, კერძო ბინები, აგარაკები.

ჩვენ ვქმნით სასიამოვნო განწყობასა და ემოციას თქვენს ინტერიერში, რადგან საუკეთესოდ ვფლობთ ფერების ფილოსოფიას. ყოველთვის ყურადღებით ვსწავლობთ თქვენს სურვილებსა და ცხოვრების წესს, რათა შპალერის შეცვლა იყოს ბევრად სასიამოვნო და მნიშვნელოვანი, ვიდრე უბრალოდ რემონტია.

ჩვენ გთავაზობთ მუდმივად განახლებად კოლექციებს ყველა ტიპის მომხმარებლისთვის მისაღები საფასო კატეგორიებით: ეკონომი, რეგულარი, პრემიუმი. ასევე ჩვენ უზრუნველვყოფთ ევროპიდან პროდუქციის ჩამოტანას, როგორც დაჩქარებულ ვადაში – 3–5 სამუშაო დღე, ისე რეგულარულ ვადაში – 2–3 კვირა.

WALLPAPERS

Tastefully picked color palette, absolute instinct for matching the atmosphere of the interior, positive emotions, elegance, wall surface elevated to the level of art – these are the properties of over 50000 varieties of paper, vinyl, vliseline, Gobelin tapestry, silk, 3D, handmade, designer and metallized wallpaper offered by Room Design Gallery.

We import Italian, Dutch, German and Belgian wallpaper. We are the leaders in this sphere and we offer you the best, top quality, environment friendly products adaptable to any interior. Our portfolio includes a number of successful projects in Tbilisi and other large cities across Georgia. The wallpaper we imported has been used to decorate the President's Palace, Tbilisi Sakrebulo, House of Justice, Ministry of Education and Science of Georgia, private apartments and houses.

We create pleasant mood and emotions in your interior, because we master the philosophy of color to perfection. We carefully study your preferences and lifestyle, so as to make replacement of wallpaper a more pleasurable and important activity than simple refurbishing would be.

We offer most up-to-date collections within reasonable price categories: economy, regular and premium, and can organize expedited (3-5 working days) as well as regular (2-3 weeks) shipment of your orders from Europe.

ფარდები და ფარდა-ჟალუზები

„გალერეა რუმ დიზაინის“ შოუ-რუმში წარმოდგენილია საფარდე ქსოვილები და საფარდე აქსესუარები წამყვანი ევროპული ქვეყნებიდან. საუკეთესო, მდიდარი ფერთა გამის, სხვადასხვა ტექსტურის, მასალის, ფაქტურის, ხარისხის, ესპანური, იტალიური, ჰოლანდიური, გერმანული და ბელგიური წარმოების ნატურალური საფარდე ქსოვილები: აბრეშუმი, ტილო, ნეილონი, შიფონი, ბატისტა, სელი, გობელინი, ტაფტა, თექა, სატინა და ხავერდი, რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერი ტიპისა და სტილის ინტერიერი აქციონ ექსკლუზიურ სივრცედ, სადაც სასიამოვნოა ცხოვრება და საქმიანობა. ჩვენ მუდმივად ვესწრებით ტექსტილის საერთაშორისო გამოფენებს და ვარჩევთ მხოლოდ საუკეთესოს თქვენი კომფორტისთვის.

ჩვენ გთავაზობთ უახლეს კოლექციებს მისაღები საფასო კატეგორიებით: ეკონომი, რეგულარი, პრემიუმი, ასევე, თხელ საფარდე ქსოვილებს – 22 ლარიდან, სქელ საფარდე ქსოვილებს – 39 ლარიდან. ჩვენ უზრუნველვყოფთ ევროპიდან პროდუქციის ჩამოტანას როგორც დაჩქარებულ ვადაში – 3–5 სამუშაო დღე, ისე რეგულარულ ვადაში – 2–3 კვირა.

„გალერეა რუმ დიზაინი“ გთავაზობთ სრულ სერვისს: ჩვენი კვალიფიციური გუნდი დაგეხმარებათ თქვენი ინტერიერისთვის საუკეთესო არჩევანის გაკეთებაში – ჩვენი შოურუმის სასიამოვნო ატმოსფერო საუკეთესო ადგილია იმისთვის, რომ ფინჯან ყავასთან ერთად, შეარჩიოთ თქვენთვის საუკეთესო ფერის, ფაქტურისა და სტილის საფარდე ქსოვილები. ჩვენი გუნდი შეასრულებს აზომვით სამუშაოებს, განახორციელებს ფარდების ადგილზე მიტანისა და მონტაჟის მომსახურებას.

„გალერეა რუმ დიზაინი“ გთავაზობთ ელეგანტური და დახვეწილი ფერთა გამის ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ, ვენეციურ ჟალუზებს, ფარდა-როლეტებს, ზებრა-ჟალუზებს, რომაულ ფარდებსა და ავტომატური მართვის ფარდა-ჟალუზებს.

„გალერეა რუმ დიზაინის“ შოურუმში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ფარდა-ჟალუზები, რომლებიც გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მართვის მოხერხებული სისტემით, კომფორტულობით. ეს არის უნივერსალური, თანამედროვე საშუალება, რომელიც ხასიათდება ანტიბაქტერიული თვისებებით და უზრუნველყოფს მზის სხივების სწორ გადანაწილებას ნებისმიერი ტიპის ინტერიერში.



CURTAINS AND BLINDS

Room Design Gallery showroom features curtain textile and accessories made in leading European countries. High quality natural curtain materials – silk ,linen, nylon, batiste, taffeta, felt, satin and velvet from Spain, Italy, Netherlands, Germany and Belgium, boasting rich colors and wide variety of textures, can enhance any interior. We systematically attend international textile exhibitions and pick the very best to ensure your comfort.

We offer you most up-to-date collections, which fall within reasonable price categories: economy, regular and premium. Unercurtains are available from 22 GEL, and portiere curtains – from 39 GEL. We provide expedited (3-5 working days) and regular (2-3 weeks) shipment from Europe.

Room Design Gallery offers a full range of relevant services. Our qualified team will assist you in making the best choice considering the design of your interior, and the pleasant atmosphere of our showroom is the best place for picking through your favorite colors, textures and styles while relishing a cup of coffee. Our team will take care of the rest, from measuring to delivering your curtains and setting them up.

Room Design Gallery offers horizontal, vertical, Venetian, Roman blinds, roller shades and zebra shades of elegant design and refined colors and distant control options.

Room Design Gallery showroom features curtains and blinds of a great variety of designs, convenient control systems and high degree of comfort. This is a universal modern commodity with antibacterial protection and the capacity of distributing sunlight correctly in any kind of interior.



heimtextil
RUSSIA

International Trade Fair for Home Textiles, Floor Coverings and Interior Furnishings

20 - 23 September 2016
IEC Crocus Expo, Russia, Moscow

New Perspectives

Get your free ticket!
www.heimtextil.ru

messe frankfurt



ლაბორატორიის ჩვენი სახლი - მარტივი გზა იდეალურად სწორეული ხელოვნების ხელოვნების მისაკუთრებლად

[illegible]

ლაბორატორია

ჩვენი სახლი

[illegible]

ლაბორატორიის ჩვენი სახლი - მაღლივი ბინა
ინდივიდუალური ცხოვრების სტილის მიხედვით

მაღლივი: კრასნოგორსკის სანაპირო 10-12 კმ

ლაბორატორია
ჩვენი სახლი

www.ara.ge | kitchencompanion | laboratoriahouse

ლიცენზირებული

ლაბორატორიის ჩვეული სახლი - ბარიანი ბრა
ინდივიდუალური ფასთაცვლის ფილოსოფიის ფილოსოფიაზე

ფასდაკლება ინდივიდუალურ ფასებზე 50-12 ან

ლაბორატორია
ჩვეული სახლი

WWW.KOL.GE | KOLCOMPANY.COM | LABORATORIA-HOME

ლაბორატორიის ჩვენი სახლი - მარტივი გზა
იმდროვიზაციული ცხოვრების სტილის მისაღებად

მაღაზია: ალექსანდრეს სპიკერ 80-12 ,48

ლაბორატორია
ჩვენი სახლი

WWW.KOR.GE | KORCOMPANY.COM | LABORATORIA-HOME

ლუგოჩანდელის ჩვენი სახლი - ბარიტი 88ა
ინდივიდუალური ფასთაცლის ფილების ბუნებრივი

ფასი: 12.49 ₾

ლუგოჩანდელი
ჩვენი სახლი

www.ice.ge | ICE COMPANY TOKYO | LUGOCHANDELI FAMILY

ფასი: 12.49 ₾

სარჩევი
Content

ქალაქი
CITY

ქვეყნის სივრცითი
მოწყობის პროექტის
პრეზენტაცია 26

თბილისში საგზაო მოძრაობის
პირობები და მისი
გაუმჯობესების
ღონისძიებები 28

არქიტექტურული
წერტილი - ქალაქი 32

სახლი
HOUSE

BLACK SEA ARENA 36

პირველი ტექნოპარკი
საქართველოში
First Tech Park
in Georgia 40

იუსტიციის სახლი
JUSTICE HALL 44



არქიტექტურული სტუდია
Architectural
studio 46

ახალი საზოგადოებრივი
შენობები 48

მეტრა პარკი 50



სახლი წყნეთში
House in Tskneti 52

Стиль и Стилизация 56

ინტერიერი
INTERIOR

დიზაინი ინტელექტუალური
და სულიერი
Intellectual and
Spiritual Design 62

სილამაზის სალონი
საკურამი
Beauty salon Sakurami 68

ვერტიკალური ბაღი

ახალი ხიბლი ინტერიერის გარეთ

IO VERDE

ფოტოგრაფია: ალექსანდრე ბოლოტაშვილი

ფოტოგრაფია: ალექსანდრე ბოლოტაშვილი

არქიტექტურის მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი

Fifeth International Architectural Festival

არქიტექტურული პრემია 2016

„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის ეგიდით", არქიტექტორთა კლუბის" და ჟურნალი STYLE-ს მხარდაჭერით 2016 წლის 15-16 ოქტომბერს ტარდება არქიტექტურის მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი

ფესტივალის მიზანია საუკეთესო პროექტების წარმოჩენა და იმ არქიტექტორებისა თუ დიზაინერების დაფიქსირება, რომელთაც თავისი წვლილი შეაქვთ არქიტექტურის, მშენებლობის და დიზაინის სფეროებში.

არქიტექტურის მეხუთე საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ტარდება მეთერთმეტე საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი "არქიტექტურული პრემია 2016"

2016 წლის 15 ოქტომბერს:

სასტუმრო "რედისონ ბლუში" 17:00 საათზე გაიმართება მე-11-ე საერთაშორისო კონკურსში - "არქიტექტურული პრემია 2016" გამოვლენილი საუკეთესო არქიტექტურული და დიზაინერული ნამუშევრების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

საერთაშორისო კონკურსი "არქიტექტურული პრემია 2016" საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი სივრცის, შენობების, ინტერიერის და დიზაინის სფეროს მოიცავს.

საერთაშორისო კონკურსი 2006 წლიდან ტარდება არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალთათვის (http://www.archiaward.com/)

საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისათვის განიხილება რეალიზებული და სარეალიზაციო პროექტები.

საერთაშორისო კონკურსზე ნამუშევრები შეფასდება შემდეგი ნომინაციების მიხედვით:

- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (რეალიზებული)
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან კომპლექსი (რეალიზებული)
- საცხოვრებელი ინტერიერი (რეალიზებული)
- საზოგადოებრივი ნაგებობა (რეალიზებული)
- საზოგადოებრივი ინტერიერი (რეალიზებული)
- რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (რეალიზებული)
- მწვანე არქიტექტურა (რეალიზებული)
- სტუდენტური პროექტი
- არქიტექტურული პროექტები
- ქალაქგეგმარებითი პროექტი

საკონკურსო ნამუშევრების მიღება დაწყებულია 5 ივნისიდან. ნამუშევრების ატვირთვა მიმდინარეობს 25 სექტემბრამდე ვებ-გვერდზე http://www.archiaward.com

დაინტერესების შემთხვევაში
დაგვიკავშირდით
ტელ.: +995 593 427 473
ელ-ფოსტა: laghidze.n@gmail.com

სარჩევი
Content

სილამაზის სალონი mirror
Beauty Center Mirror 72

სისადავე და ფუნქციონალიზმი
Simplicity and functionalism 76

ლანდშაფტი
LANDSCAPE

ლანდშაფტის დიზაინი
Landscape Design 80

პროექტი - მწვანე გარემო
The project - Green environment 82

ბაემოფენა
EXHIBITION

პერსონალური გამოფენა
Personal exhibition 84

ს(კ)ამი
S(k)ami 86

ვერნისაჟი
VERNISAGE

სიმონ-ვაჟა მელიქიშვილი - 1936-2004
Simon-Vajha Melikishvili - 1936-2004 88

ახალგაზრდა არქიტექტორი მოქანდაკე დიზაინერი
Young Architect, Sculptor and Designer 90

თბილისის სახელმწიფო აკადემია საზღვრებს გარეთ 92

არაჩვეულებრივი გამოფენა
Unusual exhibition 96



თვითნასწავლი ხელოვანი
Self-taught artist 98

ბახსენება
REMEMBER

ალეკო კორკოტაშვილი
Aleko Korkotashvili 100

ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტის პრეზენტაცია

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 2016 წლის 16 სექტემბერს, სასტუმრო "რუმსში" ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტის პრეზენტაცია გამართა, რომელიც მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ყველაზე მასშტაბური კომპონენტია.

საქართველოს მასშტაბით დაპროექტდება და დაიგება რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელები - ქვეყნის ხერხემალი, რომელიც ყველა რეგიონს გააძლიერებს და მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან; გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ბიზნესის წარმოებისთვის, ცხოვრებისა და გადაადგილებისთვის, - ამ ყველაფერს ქვეყნის სივრცითი მოწყობის პროექტი ითვალისწინებს.



მთლიანობაში, 2020 წლის ჩათვლით დაგეგმილია 1000 კმ-მდე საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, რომლის სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 3,5 მილიარდ დოლარს შეადგენს, მათ შორის იგეგმება 550 კმ ავტომაგისტრალის მშენებლობა, ასევე, 800 კმ-მდე გზის რეაბილიტაცია. იგეგმება 300-მდე სახიდე გადასასვლელის და 50 საავტომობილო გვირაბის მშენებლობა.

სივრცითი მოწყობა ასევე ითვალისწინებს რკინიგზის სადგურების, პორტებისა და აეროპორტების აშენებას და რეაბილიტაციას, არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და ახლის შექმნას.

„საქართველოს აქვს რესურსი, გახდეს ეკონომიკურად მიმზიდველი და დიდი შესაძლებლობების მქონე ქვეყანა, რისთვისაც საჭიროა მისი არსებული მდგომარეობის რაციონალური და ერთიანი, როგორც ქვეყნის, გააზრება და სწორი სივრცითი დაგეგმვა და განვითარება; რეგიონებში მეტი უანგბადის, მეტი სისხლის მიწოდება და ერთნაირი შესაძლებლობების შექმნა, მიუხედავად გეოგრაფიული მდებარეობისა. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, შევქმნათ პირობები, რომ ხალხი დაუბრუნდეს მთას, სოფლებს და იქ შექმნას მატერიალური დოვლათი, რომელიც ადგილობრივ პირობებზე იქნება მორგებული და რა თქმა უნდა, საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებზე ორიენტირებული. ყველა რეგიონის მოსახლეობისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ისეთი სერვისები, როგორიც არის ხარისხიანი განათლება, ჯანდაცვა და სოციალური ინფრასტრუქტურა, ხელი უნდა შეეწყოს მოსახლეობის დასაქმებას მშობლიურ რეგიონებში, ტურისტებს უნდა შეეძლოთ შეფერხების გარეშე ჩასვლა ყველა რეგიონში და საქართველოს ყველა რაიონი უნდა გადავაქციოთ ოთხსეზონიან საკურორტო მიმართულებად", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში აპრობირებული გზით - ინსტრუმენტით, რომელსაც ქვეყნის სივრცითი მოწყობა ჰქვია.

სივრცითი მოწყობის ფუნქციაა – უზრუნველყოს სივრცის რაციონალური, მდგრადი და დაბალანსებული დაგეგმვა. წაახალისოს ინტეგრაცია ისეთ სექტორებს შორის, როგორიცაა ბინათმშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა და მრეწველობა, და ასევე მოახდინოს საქალაქო და სოფლის რეგიონების კავშირების გაუმჯობესება.

პრემიერის შეფასებით, სწორედ ამ ინსტრუმენტის საშუალებით იქნება შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სარგებლის მიღება, ინვესტიციისა და განვითარებისთვის უფრო სტაბილური და გათვლადი პირობების შედგენა, რაც თავის მხრივ განვითარების გარანტიას აძლევს ად-



გილობრივ მოსახლეობას და ხელს უწყობს მიწისა და ბუნებრივი რესურსების გონივრულ, რაციონალურ გამოყენებას.

სივრცითი მოწყობის პროექტის პრეზენტაციის შემდგომი შეფასებისას ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, რომ სივრცითი მოწყობის კონცეფცია პრინციპულად ცვლის მთლიან საქართველოს, ეს არის გრძელვადიანი ხედვა ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური განვითარების და ასევე არის გარანტია იმისა, რომ საქართველოში უსაფრთხოება და ტერიტორიები იქნება დაცული.

„პროექტის ძირითადი ღერძები არის საგზაო მაგისტრალები, ეს არის ის არტერიები, რომელთაც, როგორც პრემიერმა აღნიშნა, ჩააქვს სისხლი და ჟანგბადი რეგიონებში და გვაძლევს შესაძლებლობას სრულად გამოვიყენოთ ჩვენი პოტენციალი. როდესაც ჩვენ გვაქვს გზა, სატრანსპორტო პოტენციალი, რომელიც იძლევა კომუნიკაციის შესაძლებლობას, ეს ზრდის ეკონომიკას. თვითონ კონცეფცია, რომელიც იყო წარმოდგენილი, პრინციპულად ცვლის მთლიანად საქართველოს. ეს არის კონცეფცია, რომელიც იძლევა შესაძლებლობას უნიკალური მარშუტები შეიქმნას ტურიზმის განვითარებისთვის. იგი მნიშვნელოვანია უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხითაც, ვინაიდან მთლიანი რეგიონები იქნება ერთმანეთთან დაკავშირებული. ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც არის მცირემიწიანი, ძალიან მნიშვნელოვანია საზღვრების დაცვა და ეს იქნება გადაწყვეტილი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ სივრცითი განვითარება გვაძლევს შესაძლებლობას, დავინახოთ მთლიანი ქვეყანა როგორ, სად, რა შეიძლება განვითარდეს და სად ჩაიდოს ინვესტიციები“ - აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობის, ეკონომიკისა დ ა მდგრადი განვითარების სამინისტროს და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობით უკვე მიმდინარეობს მუშაობა სივრცითი მოწყობის მიმართულებით, ტერიტორიების და კურორტების გენერალური გეგმების შემუშავება, ასევე მთელი ქვეყნის სივრცითი მოწყობის გააზრება და შემდგომი განვითარება, კერძოდ: ბახმაროს - “ბახმაროს საკურორტო ზონის და მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის განვითარებისათვის, აღნიშნული ტერიტორიების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით ჩატარდა კონკურსები და მოხდა საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევა. ასევე, -“ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის განვითარებისათვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელებისთვის და დაბა ბაკურიანისა და სოფ. დიდი მიტარბის ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით, კონკურსის მეშვეობით მიმდინარეობს საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევა და სხვა.



თბილისში საგზაო მოძრაობის პირობები და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები

მნიშვნელოვნად დაგვიანდა ქალაქის განვითარების გენერალური გეგმისა და შესაბამისად სამგზავრო ტრანსპორტის განვითარების კომპლექსური სატრანსპორტო სქემის დამუშავება, რამაც ქალაქის მოსახლეობის საცხოვრისი გარემოს გაურესება გამოიწვია. ქალაქის ცალკეულ უბნებში მოსახლეობის სიმჭიდროვის უკონტროლო ზრდის, მოსახლეობის ავტომობილიზაციის დონის ამაღლების, საგზაო ქსელის, საინჟინრო ნაგებობების განუვითარებლობის პირობებში, მომავალში კიდევ უფრო გართულდება მაგისტრალებზე არსებული მდგომარეობა. შემცირდება მოძრაობის სიჩქარეები. გამორიცხული არ არის ცალკეულ მაგისტრალებზე მოძრაობის პარალიზება ხანგრძლივი დროით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ძირითადი ყურადღება გადატანილი უნდა იქნას ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციაში არსებული რეზერვების გამოყენებაზე, უპირველესად მერიაში ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციასა და მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის ჩამოყალიბება - ქალაქის მთავარი ინჟინრის თანამდებობის შემოღება. რომლის ფუნქცია იქნება საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული საკითხების კურირება. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ სფეროს მოწესრიგებაზე.

ცნობილია რომ, სატრანსპორტო ნაკადების თეორია ეფუძნება სითხეების მოძრაობის კანონზომიერებებს; თუ ნაკადები გადაადგილდებიან პარალელურად ანუ დინება ლამინარულია, მაშინ სიჩქარეების განაწილების სურათი სინუსოიდალურია - ცენტრში მაქსიმალური ამპლიტუდით, ხოლო თუ ნაკადები კვეთენ ერთმანეთს დინება ტურბოლენტურია- ამპლიტუდის სიდიდე მცირდება და სიჩქარე ცენტრში ნაპირებთან არსებულისგან დიდად არ განსხვავდება. ანალოგიურად მაგისტრალზე მოძრაობის წესების დაცვით, სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობისას ცენტრში მეორე - მესამე, ზოლში სიჩქარე მაქსიმალურია,

ხოლო ტროტუარის მიმდებარედ პირველ ზოლში მინიმალური. ხოლო მოძრაობის წესების დარღვევით ზოლიდან ზოლში გადასვლის მასობრივ შემთხვევებში, როდესაც ნაკადები ტურბოლენტურია, ამპლიტუდის სიდიდე მცირდება და მეორე-მესამე ზოლში ნაკადის სიჩქარე ტროტუარის მიმდებარე ზოლის სიჩქარისაგან დიდად არ განსხვავდება. რასაკვირველია შესაბამისად მცირდება მაგისტრალის გამტარუნარიანობა. პირველ ზოლში სიჩქარეს სიდიდეს განსაზღვრავს ტრანსპორტის მოძრაობის თავისუფლების ხარისხი.

აღნიშნული პოზიციიდან თუ განვაალიზებთ ქალაქის მაგისტრალებზე შექმნილ მდგომარეობას, მათი გამტარუნარიანობის შეზღუდვის და საცობების წარმოქმნის მიზეზები შეიძლება ძირითათად ორ ჯგუფად დავყოთ: პირველი - ეხება ტრანსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილი გზის სავალი ნაწილის შევიწროებას; სავალ ნაწილზე მანქანების პარკირება, ნაგვის ჩასაყრელი კონტეინერების განთავსება, რომელიც ეწინააღმდეგება მოძრაობის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნებს და ქალაქგეგმარებით არ არის გათვალისწინებული, ავტობუსების გაჩერებები ჯიბეების და ნახევარჯიბეების მოწყობის გარეშე, ორმოები და თავახდილი ჭები, მაღაზიების მომარაგება სატვირთო მანქანებით დღის, განსაკუთრებით პიკის საათებში, მძღოლთა კვალიფიკაცია, გარემო და ა.შ.

მეორე - ეხება საგზაო სატრანსპორტო დისციპლინის დაბალ დონეს, რაც განაპირობებს ნაკადების მოძრაობის ტურბოლენტურ ხასიათს და კანონების-მოძრაობის წესების აღსრულებისადმი ჩვენი ინდიფერენტული დამოკიდებულებით აიხსნება. მსუბუქი მანქანების მძღოლების მხრიდან ხშირია მოძრაობის წესების დარღვევით ზოლიდან ზოლში გადასვლის შემთხვევები; რასაც ემატება აღურიცხავი რაოდენობის მსუბუქი ტაქსებისა და 2500 -მდე სამარშრუტო ტაქსის სამეწარმეო საქმიანობის არაორგანიზებული ხასიათი. ყოველდღიურად სამარშრუტო ტაქსები მაგისტრალებზე 30 ათასმდე რეისა ასრულებენ, ერთ რეისზე მინიმუმ 10-12-ჯერ მაინც უხდებათ მძღოლებს მგზავრის ასაყვანად ან ჩამოსასმელად სატრანსპორტო საშუალების შეჩერება, მაგისტრალის ნებისმიერ ადგლზე შეუზღუდავად, მგზავრის მოთხოვნით. აღნიშნული განაპირობებს, უმეტეს შემთხვევებში, მოულოდნელი მანევრით მე-3, მე-2 ზოლიდან პირველ ზოლზე გადასვლას, (ხშირ შემთხვევაში მეორე ზოლზე აყავთ მგზავრები). რაც თავის მხრივ იწვევს უკან მომავალი ტრანსპორტის მოძრაობაში შეფერხებებს. ანალოგიურია მდგომარეობა მსუბუქი ტაქსებით მოსახლეობის მომსახურების შემთხვევაშიც. ტაქსომეტრის არქონა მძღოლსა და კლიენტს შორის მგზავრობის საფასურზე გარიგებისათვის მოითხოვს გარკვეულ დროს, რაც იწვევს მანქანის დაყოვნებას. მსუბუქი და სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა ყურადღება ძირითადად მიმართულია არა სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობაზე, არამედ პოტენციურ მგზავრთა ძებნაზე. დარღვევათა ამ რიგს უნდა მივაკუთნოთ ფეხითმოსიარულეთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევით მაგისტრალის გადაკვეთა ნებისმიერ ადგილზე, რასაც მასობრივი ხასიათი აქვს და რომლებიც ხშირად იწვევს მანქანის დამუხრუჭებას ან მოულოდნელი მანევრით გადასვლას სხვა ზოლში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

ა) ქუჩის გარე მიწისზედა და მიწისქვეშა მრავალსართულიანი საერთო სარგებლობის ავტოსადგომების მშენებლობა, პარალელურად ისეთი ორგანიზაციული ღონისძიებების შემუშავება, რომელიც ავტომფლობელისთვის მისაღებს გახდის სადგომზე მანქანის დაყენებას. მეტრო ახმეტელის წინ მოედანზე მოწყობილი ორსართულიანი მიწისქვეშა ავტოსადგომი თითქმის დაუტვირთავია, ტაბლოზე თავისუფალი ადგილების რაოდენობა სისტემატურად აღემატება 50 ერთეულს, მაშინ როდესაც მიმდებარე ქუჩის სადგომები გადატვირთულია. საინტერესოა აგრეთვე პატენტი u1776. მექანიზირებული ავტოსადგომი, რომელიც ეწყობა მაგისტრალების გასწვრივ მათ ქვეშ გაყვანილ გვირაბებში. იგი ხასიათდება გარკვეული უპირატესობებით მრავალსართულიან მიწისქვეშა თუ მიწისზედა ავტოსადგომებთან შედარებით. (იხ. „ჟურნალი“ სტილი 2016 წლის ივლის-აგვისტოს ნომერი)

ბ) ნაგავსაყრელი კონტეინერების მოშორება გზის სავალი ნაწილიდან და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის 250-300 ლიტრი მოცულობის მოძრავი კონტეინერების განთავსება კორპუსების ბუნკერებში ნაგავსაყრელი მილის ქვეშ. (საქპატენტის ოფიციალური ბიულეტენი 2005 წ. გვერდი 19. „ბუნკერი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის“) კონტეინერი დაიცლება ყოველდღიურად, არ იქნება სუნი და ანტისანიტარია. კონტეინერს გამოაგორებს მუშა და ნარჩენები ჩაიცლება კონტეინერმცლელ მანქანაში. ეს გააუმჯობე-

სებს მოსახლეობის მომსახურებას მოქმედი ტარიფების პირობებში, შესაძლებელი გახდება კონტეინერების დამზადება ადგილზე - ხელი შეეწყობა დასაქმებას, ტენდერები გამოცხადდება არა რაიონების მიხედვით არამედ ცალცალკე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების, გზის მონახვეტის, საბიუჯეტო ორგანიზაციებში, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებში წარმოქმნილი ნარჩენების გატანაზე. ამ ორგანიზაციებისა და ობიექტებისათვის შემუშავდება ნარჩენების გატანის წესი და გრაფიკი. მოწესრიგდება ნარჩენების აღრიცხვიანობა და შემცირდება კორუფცია ამ სფეროში.

გ) ჯიბეების ან ნახევარ ჯიბეების მოწყობა ავტობუსების გაჩერებებზე, სადაც ეს შესაძლებელია.

დ) ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო და სხვა ანალოგიური ობიექტების მომარაგებისათვის გრაფიკის შედგენა დილის პიკის საათამდე ან საღამოს პიკის საათის შემდეგ. მომავალში ასეთი ობიექტების მშენებლობაზე ნებართვის გაცემის შეზღუდვა, თუ მომარაგება გზის სავალი ნაწილიდან ან ტროტუარიდან იქნება გათვალისწინებული.

ე) მაგისტრალის ზოლებიდან ზოლებში გადაადგილების, აგრეთვე მანქანების შეჩერების, გაჩერების წესების დარღვევებზე ზედამხედველობის გაძლიერება, დარღვევისთვის ჯარიმის გაზრდა. განსაკუთრებით სამარშრუტო და მსუბუქ ტაქსებზე.

ვ) ფეხითმოსიარულეთათვის ინფრასტრუქტურის მოწყობა, საქართველოს პატენტი №u1816. რეგულირებულ გზაჯვარედინებზე ფეხითმოსიარულეთა გადასაყვანი მოწყობილობა, ეს შეამცირებს შუქნიშნებზე ფეხითმოსიარულეთა გადასვლის დროს, გაზრდის მაგისტრალის გამტარუნარიანობას. ამასთან უზრუნველყოფს უნარშეზღუდულ მოქალაქეთა გადასვლას იმავე დროში. გარდა ამისა არსებობს უცხოური პატენტი, არარეგულირებად ადგილებზე, კაბინებით ფეხითმოსიარულეთა გადასაყვანად თაღისებურ კონსტრუქციაზე. (უფუნქციო გადასასვლელი ხიდების ნაცვლად) შემცირდება საგზაო შემთხვევათა რაოდენობა, ატმოსფეროს დაბინძურება. ფეხითმოსიარულეთა პრობლემი ადმინისტრირების გაძლიერებით და მხოლოდ ჯარიმების გაზრდით ვერ მოგვარდება.

ზ) საერთო სარგებლობის ტრანსპორტის დარეგულირება - მგზავრთნაკადების გადანაწილება სამარშრუტო ტაქსებიდან ავტობუსებზე და მეტროპოლიტენზე, სამარშრუტო ტაქსების სტიქიური ზენორმატიული განვითარება განპირობებული იყო კორუფციის ინტერესებით. დღეს სამარშრუტო ტაქსებზე მოსული მგზავრთა გადაყვანის საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი უნდა შემცირდეს 8-14%-მდე, მცირე ტევადობის ტრანსპორტისთვის ქალაქგეგმარების ნორმების შესაბამისად. აღნიშნულის მისაღწევად უნდა შემუშავდეს შესაბამისი სატარიფო პოლიტიკა და სხვა ღონისძიებები.

თ) ცალკეულ მაგისტრალებზე ავტობუსე-

ბის მოძრაობისათვის განცალკავებული ზოლების გამოყოფა. შუქნიშანზე გასვლის უპირატესი უფლების მინიჭება მათთვის.

ი) მსუბუქი ტაქსების აღჭურვა ტაქსომეტრებით. მძღოლის სურვილის მიხედვით ტაქსომეტრი შეიძლება შეიძინოს, აიღოს ქირით ან არენდით. ტაქსების აღჭურვა ტაქსომეტრით პირველ რიგში აუცილებელია უცხოელების, მათ შორის ტურისტების ნორმალური მომსახურებისათვის. უნდა დადგინდეს ტარიფი და ხელი შეეწყოს ტაქსებით მომსახურების მნიშვნელოვნად გაზრდას გამოძახებით.

კ) კანონმდებლობით მცირე ლიტრაჟიანი მსუბუქი მანქანების შეძენის წახალისება.

ლ) შუქნიშნებით სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის მართვის-რეგულირების ერთიანი ცენტრის ექსპლუატაციაში გაშვების დაჩქარება.

მ) გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია-გასასვლელების გაგანიერება ტროტუარების ხარჯზე, მათი მომრგვალება, გზაჯვარედინის სწრაფად განტვირთვის მიზნით.

ნ) საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ავტოსადგურებისათვის ადგილების შერჩევა, ქალაქის ცენტრში საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ავტობუსების მოძრაობის შეზღუდვა.

ო) ქალაქის შემოსასვლელებში სატვირთო სადგურების აშენება-მოწყობა და სასაწყობო მეურნეობის განვითარება. მძიმეწონიანი სატვირთო მანქანების მოძრაობის შეზღუდვა ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე, მათი გადართვა შემოვლით მაგისტრალზე.

პ) მშენებლობის ნებართვის გაცემის აკრძალვა, თუ მას არ ერთვის სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი, რომელიც შეთანხმებულია ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციაზე პასუხისმგებელ სტრუქტურასთან.

აღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანია სანაპიროების ცალმხრივ მოძრაობაზე გადაყვანა და შესაბამისად ცნობილი სპეციალისტის აწ განსვენებული ბატონ გიორგი ცომაიას ხელმძღვანელობით 80-ან წლებში შემუშავებული ქალაქის მაგისტრალებზე ტრანსპორტის მოძრაობის სქემის შემოწმება კომპიუტერულ მოდელზე. მაგისტრალის ცალმხრივ მოძრაობაზე გადაყვანა მინიმუმ 10%-ით ზრდის მის გამტარუნარიანობას.

რაც შეეხება საგზაო ქსელისა და საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის საკითხს, კომპლექსური სქემის დამუშავებამდე, მას მეტად ფრთხილად უნდა მიუდგეთ. 90-ანი წლებიდან თბილისში მთლიანად შეიცვალა მგზავრთა და სატრანსპორტო ნაკადების სიდიდეები და მიმართულებები. ძველი კომპლექსური სქემებიდან ცალკეული სატრანსპორტო კვანძების თუ საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა-რეალიზაცია ვერ მოგვცემს ძველი კომპლექსური სქემით გათვალისწინებულ შედეგებს. ამის ზოგიერთი მაგალითი უკვე არსებობს. აუცილებელია თბილისში საგზაო მოძრაობის კომპიუტერული მოდელის შემუშავება და სატრანსპორტო ობიექტის მშენებლობისა თუ სხვა ღონისძიების რეალიზაციამდე კომპიუტერულ მოდელზე მათი შემოწმება.

მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე დგას კომპლექსური სატრანსპორტო სქემის დამმუშავებელი ჯგუფი, რადგან არ არსებობს თბილისის ეკონომიკური განვითარების რაიმე კონკრეტული პროგრამა. ბევრ სფეროში მოუწესრიგებელია აღრიცხვიანობა, არ არის ცნობილი როგორი ტემპებით განვითარდება მრეწველობა და მომსახურების სფერო, როგორ შეიცვლება მოსახლეობის დასაქმება, რაც გაძნელებს საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრას. აღნიშნულიდან გამომდინარე ალბათ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს მოკლევადიანი კომპლექსური სქემის შემუშავება, მაქსიმუმ 5-7 წლის პერიოდისათვის.

ზაურ კაჭარავა



არქიტექტურული წერტილი - ქალაქი

განზოგადებული არქიტექტურა

Architectural point - City_Architectural point - City

მორფოგენეზისი

ქალაქი ადამიანის პარამეტრია, მისი განზომილების, შესაძლებლობების ზღვარის მაჩვენებელი. ასე ვთქვათ, ქალაქი ჩვენი შესაძლებლობების პიკია და, ამგვარად, მაჩვენებელია არქიტექტურული შესაძლებლობებისაც. ყველაზე ტევადი (დიდი) სივრცე, რისი შექმნაც შეუძლია დედამიწაზე ადამიანს – ქალაქია.

მაგრამ, რა შეიძლება ითქვას დღეს ქალაქზე, რითი შეიძლება აღვნიშნოთ, შევაფასოთ დღეს იგი. აქ მთავარი სათქმელი ერთია: ადამიანი /არქიტექტურა/ დღემდე გაბმულია და გაჭედილი ჰიპოდამის ბადეში. თითქოს არცა ჩანს მისგან გამოხსნისა და გამოთავისუფლების სურვილი, ასე ვთქვათ, სურვილი არქიტექტურული თავისუფლებისაკენ.

ჰიპოდამის ბადე განაგებს ქალაქს ანუ ქალაქწარმოების აზროვნებას. თუმცა, დღევანდელ ქალაქაზროვნებაზე საუბარი არ წარმოადგენს ჩემს ამოცანას. ჩემი სათქმელი სხვა არის:

ვფიქრობ, ზედმეტად გაიჭიმა დრო ახალი ქალაქგეგმარებითი აზროვნებისკენ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ინიშნება (ჯერ ალბათ მკრთალად) გარკვეული საწყისები. შეიძლება ვკადნიერდები, მაგრამ თითქოს ვხედავ ქალაქს და ჩემის გაგებით თვითწარმოების პრინციპით გავაკეთე კიდეც ქალაქი, რომელშიც თანაზომიერებით ლაგდება თავისუფალი და დატვირთული სივრცეები, ამასთან, ამ სივრცეების გადათამაშების და უწყვეტობის შესაძლებლობით. ეს მორფოგენეზისია რიცხვის სიბრტყითი ანარეკლით და არა იმ წრფივი ათვლითი სისტემით, რაც მოდულორშია მოცემული. კორბუზიემ კარგი ტერმინი შემოიტანა არქიტექტურაში - "ერთიანი პროგრესია". მაგრამ, რამდენად მისაღებია არქიტექტურული კონსერვატივიზმისთვის და ზოგადად საზოგადოებისთვისაც **დღეს** (ხაზს ვუსვამ - **დღეს)** ის არქიტექტურა - პროცესი, რომელსაც შემოქმედებითი თავისუფლების მოტანა შეუძლია, ძნელია თქმა. თუმცა თავად დინამიკა ამ პროცესისა, ვფიქრობ, მიმზიდველი უნდა იყოს შემოქმედი არქიტექტორისთვის.

1. გზა, რომელიც გამოდის ქალაქიდან, თითქოსდა ქალქის უწყვეტობის, განვითარების რეალურად არსებული პირობაა. მაგრამ ეს ასე არ არის. იქმნება ილუზია, შესაძლოა გზასთან - სვლასთან - სწრაფვასთან დაკავშირებული ასოციაციით გამოწვეული, რომ ქალაქის ორგანიზმში ერთადერთი უსასრულო ცნება – გზაა (მას შეგვიძლია მივადევნოთ ქალაქის ტექნიკურ კომუნიკაციათა ქსელიც). მაგრამ, სინამდვილეში გზა მხოლოდ გამოსავალია და შეიძლება ითქვას, ხატოვანი სიმბოლოც ქალაქის პერსპექტივისთვის. რეალურად ქალაქის განვითარება საჭიროა განისზღვროს თანაზომიერების დაცვით – პრინციპით, რომლის წარმონაქმნსაც სასრულ უჯრედებთან ერთად უსასრულო გზაც, ანუ გზის უსასრულობაც უნდა წარმოადგენდეს. აქედან იქმნება ქალაქის ხერხემალი და სასიცოცხლო არტერიაც – სტრუქტურა. ბუნებრივია, რომ ძველ ქალაქებში სატრანსპორტო და მათთან ტექნიკურ კომუნიკაციათა სრულყოფილებაც უმეტესწილად დამდგარი უბნების (უჯრედთა) დამოკიდებულებათა შედეგს წარმოადგენს და ქალაქის ერთადერთი უსასრულო ცნებაც – გზა, თანდათან ჩიხში ემწყვდევა. ანუ დარღვეულია სტრუქტურის არსი – უწყვეტობა. იგი ძირითადია ქალაქის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის. ამის მაგალითს, შორს რომ არ წავიდეთ, შესანიშნავად წარმოგვიდგენს ჩვენი თბილისი. **ქალაქის უჯრედთა ურთიერთთანაზომიერება ძირითადია ქალაქის უწყვეტობისთვის, ანუ განვითარებისთვის. მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ობიექტური სრულყოფილება ქალაქის თეორიულ და ფაქტობრივ სტრუქტურებში დღემდე არ ჩანს.**

რამდენად მისაღწევია ეს სრულყოფილება?

2. როგორ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ერთიანი პროგრესია ზოგადი სურათით და მასში ქალაქიც – მრავალფუნქციური, მაგრამ კონკრეტული ინფრასტუქტურა:

რეალობა ბანალურია: არქიტექტრული სივრცის განვითარება (დახურულ და ღია სივრცეთა: მაგ. ნაგებობის, ქალაქის და ე.ი. ქალაქის ცენტრისაც) ბიოლოგიური გამრავლების პროცესს შეიძლება შევადაროთ: როდესაც ზრდის გარკვეულ ეტაპზე ჩნდება სასიცოცხლო უჯრედის გაყოფის აუცილებლობა: იგი იყოფა და თავის გვერდით წარმოქმნის ახალს, ვითარდება მსგავს წარმონაქმნთა სახით. რამდენადაც ამ შინაარსის – კანონზომიერების (და ე.ი. არქიტექტურული განვითარებისაც), გარდაქმნა წარმოუდგენელია, იძულებულები ვართ მივიღოთ იგი, ანუ შეძლებისდაგვარად გამოვავლინოთ თავისი ორგანული ფორმით. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს უსასრულო განვითარების შესაძლებლობასთან, მაგრამ თავად უჯრედი, ნაგებობა იქნება იგი, ქალაქის ცენტრი, თუ ქალაქი, კონკრეტული (ე.ი.





სასრული) ცნებაა: ცენტრსაც და მთლიანად ქალაქსაც, ასევე ნაგებობას, დანიშნულებიდან გამომდინარე, აქვს არსებობის – ფუნქციონირების მოზომილი არე, რომლის იქითაც მათგან თითოეული არაორგანულ სივრცედ რჩება. ამიტომ, გვაწყობს ეს თუ არა, აუცილებელია მათ განვითარებას დავუდოთ ზღვარი ამისთვის განკუთვნილ წერტილში: შევაჩეროთ ზრდა იმ წერტილში, რომელსაც გვკარნახობს თავად კონკრეტული უჯრედის (ნაგებობის, ქალაქის, ცენტრის და სხვა) შინაარსი. ამ დაჯგუფებათა სიცოცხლისუნარიანობა ბევრად არის დამოკიდებული განვითრების იმ პრინციპზე, რომელიც თავს უყრის და ერთ ორგანიზმად კრავს მათ. ჩვენ ვსაუბრობთ მცირე და დიდ დაჯგუფებათა ორგანული განვითარების (არსებობის) შესაძლებლობაზე, ერთიან პროგრესიაზე არქიტექტურაში. ბუნებრივია, ამოხსნა ამ სპეციფიკური არქიტექტურული ფორმისა მისსავე შინაარსში – თანაზომიერებაში, ძევს: რამდენადაც ვეძებთ პრინციპს, რომელიც მოგვცემს შემკრავ ხერხემალს და, იმავდროულად, მკვებავ არტერიასაც იმ დაჯგუფებათა არსებობისათვის, რომელნიც ამავე პრინციპის წარმონაქმნს წარმოადგენენ, ცხადია, ვეძებთ ერთადერთ და ე.ი. კანონზომიერ საწყისს – რეალობას.

ამგვარად, უნდა შევიმუშავოთ ერთგვარი არქიტექტურული საწყისი სივრცეთა უწტვეტად განვითარებისათვის: ერთის მხრივ, მივიღოთ ჰარმონიულ სივრცეთა მთელი სიმრავლე ერთი და განუყოფელი ფორმით – შემდგომი განვითარების პერსპექტივით, მეორეს მხრივ კი, სივრცეთა ამ არსებული სიმრავლიდან თითოეული წარმოვადგინოთ ცალ-ცალკე, დასრულებულ და ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ობიექტად, მაგრამ თავისი არსით განვითრებად – ე.ი. მიუხედავად ადგილმდებარეობისა ან მანძილისა მათ შორის, ერთ და მთლიან – უწყვეტ, არქიტექტურულ ფორმად.

3. ბუნებრივი ლანდშაფტის შთანთქმა გარდაუვალი აუცილებლობაა, ადამიანის დაუდგრომელი ბუნებიდან გამომდინარე. გამოდის, არქიტექტორებს დედამიწის ათვისების რთული ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი. აქედან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუკეთესო გამოსავალია განვიხილოთ ქალაქი ბიოლოგიური გამრავლების პრინციპით: როგორც კონკრეტული – სასრული, უჯრედი და სასრულ უჯრედთა სიმრავლეც – უწყვეტობა. ეს ნიშნავს, შეძლებისდაგვარად ორგანულად განვახორციელოთ ქალაქის დამოკიდებულებები შიდა ანუ საკუთარ და გარე სამყაროსთანაც, ანუ სხვა ქალაქებთან მიმართებაშიც, რომელნიც, თავის მხრივ, შემადგენელ უჯრედთა ანალოგიით, ცხადია, მასშტაბის განსხვავებით, ურთიერთობათა ჰარმონიას უნდა წარმოადგენდნენ. **ამგვარად, უპირველესად აუცილებელია ამოვხსნათ არქიტექტურული ფარდობითობის კანონზომიერება, ცხადია, სოციალური პრობლემატიკის გათვალისწინებით;** აქედან კი უეჭველია, მეტი ინტენსივობით ჩავრთოთ არქიტექტურაში თანაზომიერების მექანიზმი, რომელიც ერთნაირად იძლევა **ერთისა და მეორისაც** ამონახსნებს. ყოველი შემთხვევისთვის შევეცადოთ მაინც, შევისწავლოთ ეს არც-თუ იოლი ამოცანა თანაზომიერების ზოგადი საფუძვლით.

უბრალო მაგალითმა მარტივად აღსაქმელი კონკრეტული კუთხით შეიძლება დაგვანახოს ქალაქების ფარდობითობა, ქალაქის უწყვეტობის არსი: ამგვარად, თუ გვაქვს სისტემას დაქვემდებარებული ასეთი ქალაქი (სად?), ვთქვათ, საქართველოში და მეორე კი – სადმე სხვაგან დედამიწის რომელიმე კუთხეში, მაშინ გზა ან გზის რომელიმე ერთი განშტოება გადასროლილი ამ მეორე ქალაქისკენ, ცხადია, უნდა შეუერთდეს აქ მონიშნულ ან უკვე არსებულ შესაბამის გზას ან გზის შესაბამის განშტოებას.

4. მთავარია შევქმნათ გაყინული არქიტექტურული სტრუქტურის ალტერნატივა. ამგვარად, ამოვდივართ, თითქოსდა, ბანალური რეალობიდან – თანაზომიერებიდან, რომელსაც მხოლოდ ფრაგმენტული გამოვლინებებით აღვიქვამთ, მაგრამ რიცხვი გვაძლევს თანაზომიერების იმ ფრაგმენტული მახასიათებლების შეკვრის შესაძლებლობას, რომელნიც სირთულეს წარმოადგენენ სწორედ რომ ცალკეული კონკრეტული ამოცანებით – გაფანტულობისა გამო.

თანაზომიერების, იმავე ერთისა და სიმრავლის, იმავე ფარდობითი ერთის ფილოსოფია ("შესახვითი ყოვლობაი", როგორც მას იოანე პეტრიწი უწოდებს) – მაძლევს შესაძლებლობას შევქმნა არქიტექტურული მრავალსახეობა ერთ სახეში ანუ შევქმნა არქიტექტურული გაფფენილობა - არქიტექტურული წერტილი – ქალაქი. პროკლესეული **ემანაცია - პროდუცირება-წარმოობა** – ბუნებრივია, რომ მოქმედია არქიტექტურაში და **აქ წარმოდგენილი ქალაქი თვითწარმოობის** ერთგვარ შედეგად შეიძლება განვიხილოთ: **ეს არქიტექტურული მორფოგენეზისია. არქიტექტურული წერტილი - ქალაქი, შეიძლება ითქვას, არქიტექტურული ფილოსოფიის შედეგია.**




Architectural p


The Number

ასეთი ქალაქი ცვალებადია. მისი უჯრედების (უბნების) სიმრავლე დამოკიდებულია იმ რიცხვის სიმრავლეზე, რომელსაც ვნიშნავთ მოდულად და ცვალებადია დროის მიმართაც: მისი განვითარება შესაძლებელია დროის ფეხდაფეხ. აქედან გასაგებია, ქალაქს ვიძლევი ზოგადი სახით. მისი დაყვანა შესაძლებელია ნებისმიერ კონკრეტულ მასშტაბამდე რიცხვითი მოდულის ანუ უჯრედთა სიმრავლის ცვალებადობით. ქალაქის სტრუქტურას იძლევა X ცვლადი რიცხვითი მოდული სიბრტყითი ანარეკლით (სივრცე და სიბრტყე იგივდება მათემატიკური და არქიტექტურული გაგებით, თანაზომიერებიდან გამომდინარე).

5. ქალაქის განვრცობის შესაძლებლობები: 1. ხაზობრივი: ა) ჰორიზონტალური, ბ) ვერტიკალური, დ) დიაგონალური. 2. ერთიანი სისტემით - ფიჭური.

მოცემულ ქალაქში დამუშავებული უბანია: შემეცნებითი ცენტრი, მოცულობა (ნაგებობა) – კომპლექსი – ქალაქი; ამგვარად ვქმნი გარდამავალი სირთულის ინფრასტრუქტურას, რომელიც უწყვეტად გადაედინება მცირე არქიტექტურული უჯრედიდან ქალაქის მსხვილ და რთულ სტრუქტურაში; ამასთან, განვიხილავ მას და წარმოვადგენ ქალაქის უწყვეტად განშლის პერსპექტივითაც.

რამდენდაც გარკვეულწილად გაცნობიერებული მაქვს პროექტირების რიცხვითი ფორმა, ვფიქრობ, უფლება მაქვს ვთქვა, რომ, წარმოდგენილი სტრუქტურა დღეს განხორციელებადია, მაგრამ გარკვეული სისრულით: შეიძლება გაშენდეს თავად საბაზისო ქალაქი დროში განვითარების პერსპექტივით. ეს ჩემი, როგორც პროექტის ავტორის აზრია. სხვა მარტივ შემთხვევაში ეს სტრუქტურა განხორციელებადია გარდამავალი სირთულის ინფრასტრუქტურების სახით: მაგ. განვითარების იმ კანონზომიერებით, როგორითაც აქ დამუშავებული მაქვს ქალაქის ერთი უბანი - "შემეცნებითი ცენტრი", მოცულობიდან კომპლექსში და შემდგომ შესაბამისი შინაარსის ქალაქად გადაქცევის შესაძლებლობით (კომპლექსი იტევს მათემატიკური სიზუსტით მოცულობას (ნაგებობას), ხოლო კომპლექსს ისვამს თავისში ქალაქი). ასეთებია შინაარსობრივად ტევადი სივრცეები, მაგ: სავაჭრო ცენტრი; სახელმწიფო მმართველობითი ინფრასრუქტურა; ხელოვნების, სპორტის და ა.შ. ცენტრები; შესაბამისი მოცულობის ქალაქები, ანუ სპეციფიკური დატვირთვის მატარებელი ქალაქები.

6. განთავსების სავარაუდო ტერიტორიები:

ერთი ვარიანტით: იდეალურ ადგილს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთი. აღნიშნული კონცეფციის მძლავრი ერთეულით – ქალაქით, გადავაქციოთ სამცხე-ჯავახეთი საგანმანათლებლო ცენტრად საქართველოსთვის, უნდა ვიფიქროთ, კავკასიის რეგიონისთვის და ცოტას თუ ვიოცნებებთ, მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებისთვისაც.

მეორე ვარიანტია: მაგ. მოცულობა შეიძლება გაიდოს ხიდად, ჩაიჭედოს პატარძეულის ხევში, კახეთში მიმავალი გზის პირას. ეს ნაგებობა, შემდგომი განვითარებით კომპლექსიდან ქალაქში, გაივაკეებს იმავე მიდამოებში, რის შედეგადაც მივიღებთ თბილისის სატელიტურ წარმონაქმნს საგანმანათლებლო ფუნქციით ქალაქის სახასიათო დატვირთვით.

და ბოლოს: არქიტექტურული ფილოსოფია იწვევს ჩემში, როგორც არქიტექტორში, ჯერ კიდევ შეუცნობელი სიახლის მოლოდინის განცდას. თუმცა, ვაღიარებ, მეტი სილაღითა და თავისუფლების შეგრძნებით წარიმართება პროექტირების პროცესი სპონტანურად; ეს, კონკრეტული არსისთვის (ადამიანისთვის) ჩვეული აზროვნებით შექნილი არქიტექტურა (იმ მიზეზითაც, რომ მასიურ ხასიათს ატარებს), საინტერესოა ზოგადადაც, თეორიულად, – ერთი არქიტექტურული დროის არქიტექტურულ შესაძლებლობათა აღნუსხვის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი შრომა გამოვეცი წიგნად ქართულ ენაზე: *"კანონზომიერება არქიტექტურაში" უწყვეტად განვითარებადი არქიტექტურული სივრცე – უწყვეტი განვითარების შემოქმედებითი პროცესი – ერთიანი პროგრესია. რიცხვი, როგორც ფორმათწარმოქმნის შესაძლებლობა არქიტექტურაში. თეორია პრაქტიკული გამოსავალით: შემეცნებითი ცენტრი: მოცულობა – კომპლესი – ქალაქი (ერთიანი პროგრესია). 1972 – 2000".* თბილისი 2004.

"Conformity in Architecture.Continuously Progressing Architectural Space – Creative process continuity _ Unitary Progression. A Number as the Possibility of Form-Building in Architecture.Theory with practical outcome.Cognitive center: volume – complex – "town". Unitary progression.1972-2000". **Tbilisi 2004.**

ნინო მელიქიშვილი



BLACK SEA ARENA

BLACK SEA ARENA

მდებარეობა: ჯუჰოჰტი
შეჯვეთიღი, დაბა უჰეჯთან,
ოზუჰგეთის მუნიციპალიტეტი

რეგიონში პირველი, უმაღლესი დონის საკონცერტო დარბაზი 10 000 მაყურებელზეა გათვლილი და ადაპტირებულია შშმ პირთათვის. მშენებლობაში ფონდმა „ქართუმ“ 200 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. დარბაზის პროექტირებაზე იმუშავა გერმანულმა კომპანიამ Drei Architekten-მა. სამშენებლო სამუშაოებს ასოციაცია „ატუ“ და კომპანია „ელიტა ბურჯი“ აწარმოებდა. მშენებლობაზე დასაქმებული იყო 600-ზე მეტი ადამიანი. მშენებლობის დასრულების შემდეგ, BLACK SEA ARENA-ს ოპერირების უზრუნველსაყოფად, 100-მდე ადამიანი დასაქმდა, ხოლო კონცერტების პერიოდში, დასაქმებულთა რიცხვი 200-მდე იზრდება.

საკონცერტო დარბაზის დასასხდომი, დასადგომი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განკუთვნილი ადგილები სტუმრების კომფორტზეა გათვლილი. Black Sea Arena-ს საკონცერტო დარბაზი მთლიანად დაპროექტებულია უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად. საკონცერტო დარბაზის პარკირების ზონა 2 000-მდე ავტომობილს იტევს.

არენის ძირითად ნაწილს საკონცერტო სივრცე წარმოადგენს, რომელიც ორ დამოუკიდებელ შენობას აერთიანებს. ერთ შენობაში განთავსებულია კინოთეატრის დარბაზები,





სწრაფი კვების ობიექტები, VIP-ზონები, შეხვედრების ოთახები და სამედიცინო პუნქტი, ხოლო მეორე შენობაში - დარბაზის ადმინისტრაციული ნაწილი, მაღალი კლასის საგრიმიოროები, ტექნიკური ოთახები და კაფეტერია.

ამფითეატრის ტიპის ღია საკონცერტო დარბაზი აღჭურვილია რეგიონული მასშტაბით საუკეთესო ტექნიკით, მოძრავი მნათობი კედლებითა და მოძრავი სახურავით.

არენის სივრცე ნებისმიერი მუსიკალური მიმდინარეობის კონცერტების, ასევე სპორტული ღონისძიებების, თეატრალური თუ საცირკო წარმოდგენების გამართვის შესაძლებლობას იძლევა.

სპეციალურად, საკონცერტო დარბაზისთვის, შერჩეულია საერთაშორისო წამყვანი ბრენდების მიერ წარმოებული განათებისა და გახმოვანების სისტემები, Led და კინოთეატრის ეკრანები.

BLACK SEA ARENA აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტის მქონე უსაფრთხოების სისტემით.

არენის ტერიტორიაზე განთავსებულია მაღალი დონის ტექნიკით აღჭურვილი სახანძრო პუნქტი, რომელიც, არა მხოლოდ საკონცერტო დარბაზს, არამედ, მიმდებარე დასახლებულ პუნქტებსაც მოემსახურება.

2016 წლის პროგრამის შემუშავებაში Black Sea Arena-ს პარტნიორობას უწევს მსოფლიოში ცნობილი კომპანია Baltic Music Group.

უცხოელი და ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილმა საკონცერტო დარბაზმა ისეთი კომპანიების ინტერესი გამოიწვია, როგორიცაა კომპანია SMG, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით 230 საზოგადო ობიექტს მართავს და ოქროს სტანდარტთან ასოცირდება .

დღეს SMG, BLACK SEA ARENA-ს ოფიციალური პარტნიორია.

BLACK SEA ARENA, თავისი ტექნიკური შესაძლებლობებით, სრულად პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. შესაბამისად, მზად არის, უმასპინძლოს უმაღლესი დონის ნებისმიერ ვარსკვლავსა და შოუ-პროგრამას.

BLACK SEA ARENA

Location: Shekvetili resort near Ureki borough in the Ozurgeti municipality

Black Sea Arena - The ultra-modern venue, designed by German architects Drei Architekten, while the local non-profit association ATU and local development company Elita Burji carried out the construction works, is located close to the shores of the Black Sea. Its stunning architecture has some nice twists; the open auditorium can be closed within minutes when rain comes up by means of 168 rotating, translucent facade lamellas, that protect the audience from sun, wind and rain.

The auditorium has a capacity of 10000 seats circular grand-stands. Visitor lounges, VIP areas, four cinemas, auxiliary areas and technical rooms are arranged below these. The auditorium, with a stage width of 36m., is designed to accommodate the largest productions of international performing artists. The Arena is constructed with an open roof; 25m above ground level, a retractable membrane glides over the entire auditorium where the circumstances require so.

Based system integrator, Scenos Techninis Servisas, was asked to provide the turn-key installation of light, LED screens, sound and stage structures, comprising of over 30 tonne of equipment in total. For this installation, Prolyte, L-Acoustics and ROBE were selected as main suppliers. After an intensive installation and testing period.

The world-famous company Baltic Music Group is a partner of Black Sea Arena at the 2016 Program Elaboration.

Black Sea Arena caused interest such companies as – SMG, which is manages 230 public facilities on the globe and associated with the gold standard. Today SMG official partner of Black Sea Arena.



პირველი ტექნოპარკი საქართველოში

ავტორი: "არტსტუდიო პროექტი"
გიორგი სულაბერიძე

თბილისის მახლობლად, დაბა ოქროყანაში, გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია მცირე ინკუბატორები, სასწავლო ცენტრები და ლაბორატორიები, საერთაშორისო მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგცენტრები და საგამოფენო ოთახები, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია. ტექნოპარკის დანიშნულებაა ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება, ახალი გამოგონებების ხელშეწყობა და ორიგინალურ იდეათა პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა.

ტექნოლოგიური პარკის მიწის ფართობი შეადგენს 6940 კვ.მ.-ს და გეოგრაფიულად მდებარეობს "შამა დავითის" მთის ფერდობის სამხრეთ ნაწილში. მის ფარგლებში რელიეფი არ არის აბსოლუტურად სწორი და ზღვის დონიდან 782 მ.დან 790 მეტრამდე მერყეობს. ნაკვეთზე მდებარეობდა ორი ბლოკისგან შემდგარი ძველი ადმინისტრაციული შენობა და საქვაბე, გარშემო კი მასიური ტყე და გამწვანება. რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით ორი ადმინისტრაციული შენობის დამაკავშირებელი სივრცე წარმოდგენილი იქნა ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების უახლეს გამოხატულებად არქიტექტურაში. დიზა-

ინის მთავარი მიზანი იყო გამოეხატა ბუნებრივი ეკო-სისტემის მნიშვნელობა არქიტექტურაში და მისი მიღწევა მაღალი დონის დაგეგმვისა და თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიების საშუალებით.

შენობის ექსტერიერი სხვადასხვა შთაბეჭდილებებს დატოვებს ტექნო-პარკის სტუმრებზე; იგი ბუნებრივი, შემოქმედებითი და მაღალტექნოლოგიურია, რაც თანამედროვე ცხოვრების გამოწვევებს აკმაყოფილებს. პროექტის მიხედვით, გარე კედლები შეილესა და შემდგომ შეიფუთა Rockwool-ის თბოსაიზოლაციო მასალით და მოპირკეთდა მაღალი ხარისხის ხის დაფებით (ანტისეპტიკური და შეღებილი ხსნარით გაჟღენთილი). საგანმანათლებლო ბლოკის სახურავი ძირითადად დაეთმო მექანიკურ მოწყობილობებს. ცენტრალური ბლოკი შერეული ტიპის სტრუქტურისგან შედგება: მთავარი, მზიდი ჩონჩხი არის რკინა-ბეტონის, ხოლო ფოლადის ჩარჩო გამოიყენება მინის ფასადის დასაჭერად. „კუბი“ ინტერიერში ძირითადად ატრიუმს წარმოადგენს, პირველი სართული მოიცავს მისაღებს, მოსაცდელს და ბიბლიოთეკას. „კუბში“ მოეწყო ჰიდრავლიკური ტიპის ლიფტი, რომელიც აკავშირებს 4 დონეს და ბოლო სართულის ტერასებს.

ტექნოპარკი აღჭურვილია უახლესი დანადგარებით, ლაზერული მჭრელებით, CNC მანქანებით, 3D პრინტერებით და სხვა მრავალი თანამედროვე მოწყობილობით რაც ხელს უწყობს ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის განვითარებას.



First Tech Park in Georgia

Author: Art Studio Project, Giorgi Sulaberidze

Project site is located in Okrokana, Tbilisi, in the neighborhood of Mtatsminda Park. Technically, the project is a reconstruction of existing structures; functionally TechPark is the headquarters of Georgia's Innovation and Technology Agency.

Project concept aims at raising the public awareness the influence of technologies on our day-to-day life.

Site area is 6940 sq. m.; the terrain is uneven with altitude fluctuating between 782 and 790 m above sea level. The site comprises a two-block administrative building and a boiler house surrounded by plantings and a forest.



იუსტიციის სახლი

ავტორები: არქიტექტორები ნინო ჭანტუარია
და ლუკა ჩაგანავა (კომპანია NS studio)
მდებარეობა: ქალაქი ლაგოდეხი
საერთო ფართი: 950 m^2

შენობა შედგება ამრეკლავი გარსის მქონე მოცულობების ერთობლიობისგან, რომლებიც მოქცეულია ფუნქციურ „ჩარჩოში“. შენობა გარე სამყაროსკენ იხსნება, მაგრამ მასში დაფარული აქტივობისთვისაც რჩება ადგილი. ესაა განმარტოების და გახსნილობის მონუმენტი, რომელიც ასახავს კანონის და სამართლის ღირსებას. შენობა - ობიექტურობის ეპიტომაა. რა თქმა უნდა, ობიექტურობის უნივერსალურად მისაღები განსაზღვრება არ არსებობს, მაგრამ სიმართლედ მიიჩნევენ იმას, რაც ყოველმხრივ მართალია, უსასრულობამდე მართალი. სწორედ ამ შინაარსშია სინათლის მოცულობის მთელი სილამაზე.

ინტერიერში მოცულობითი ბარიერებით შექმნილი მსუბუქი ერთიანობის გამჭვირვალეობა წყნარი ტონებითაა აქცენტირებული. შენობის მოცულობა სამ დონეზე - მიწისზედა 2 და მიწისქვეშა 1 სართულებზეა გადანაწილებული. მიწისპირა სართულზე განთავსდა მთავარი სივრცე, სათათბირო ოთახი, ქორწინების სივრცე. მეორე სართული დაეთმო საოფისე ნაწილს. ხოლო მინუს სართულზე - სხვადასხვა სასაწყობე და ტექნიკური ოთახები მდებარეობს.

JUSTICE HALL

Authors: Nino Chanturia,
Luka Chaganava
(NS studio company)
Location: LAGODEKHI
Total area: 950 m²



The building is formed as one clustered 'mirror' volume embodied in a functional „frame". The building is extravert but also contains space for inner activity. It is a monument to both privacy and transparency at exactly the same time - which reflects the dignity of law and justice. This building is the epitome of objectivity. Of course, there is no universally accepted definition of objectivity, but something is considered to be true when its truth conditions are seen from every possible angle - to infinity. This is the beauty of a glass volume.

ნისანის ცენტრი თბილისში
NISSAN CENTER IN TBILISI

არქიტექტურული სტუდია

სტუდია "MHD Group Architecture" დაარსდა 2012 წელს. მანამდე იმავე გუნდის მიერ პროექტირება ხორციელდებოდა სხვა საპროექტოების სახელით, ამის გათვალისწინებით ჯგუფს გააჩნია 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება ამ სფეროში. პროექტების ავტორები არიან და არქიტექტურულ ჯგუფს ხელმძღვანელობენ არქიტექტორები - **მიხეილ გიორგობიანი და მარინე ლაზაშვილი**. სტუდიის ძირითადი მიმართულებაა არქიტექტურა (ექსტერიერის, ინტერიერის პროექტირება, რეკონსტრუქცია და ასევე ლანდშაფტური პროექტირება). გარდა ამისა "MHD Group Architecture" სრული მომსახურების საპროექტო სტუდიაა, რომელიც პროექტირებას ასრულებს არქიტექტურული კონცეფციებიდან-ესკიზებიდან სრულფასოვან საპროექტო დოკუმენტაციამდე. საპროექტო ძირითადად ორიენტირებულია შენობების დახვეწილ იერსახეზე, და მუშაობს როგორც თანამედროვე ფორმებზე, ასევე ქმნის სხვადასხვა სტილის არქიტექტურას საპროექტო ობიექტთან და არსებულ გარემოსთან შესაბამისობაში, ასევე დამკვეთის მოთხოვნილების შესაბამისად. "MHD Group Architecture" ეწევა საპროექტო მომსახურებას არამარტო საქართველოს ფარგლებში. სტუდია ქმნის პროექტებს ქვეყანაში არსებული არქიტექტურის ძირითადი და ტრადიციული მიმდინარეობების და თანამედროვე არქიტექტურის მიღწევისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ასრულებს განსხვავებული შინაარსისა და დანიშნულების ობიექტებს; ასრულებს, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტებს, ასევე მრავალბინიან ინდივიდუალურ და საცხოვრებელ სახლებს თუ საოფისე ან სხვა ფუნქციის შენობებს. "MHD Group Architecture"-ში ასევე იქმნება ინტერიერის პროექტები ყველა აღნიშნულ კატეგორიაზე, მასშტაბის სიდიდის თუ სიმცირის მიუხედავად. საპროექტო კომპანია ძირითადად აერთიანებს არქიტექტორებს. გარდა არქიტექტორებისა საპროექტო თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის პროფესიონალებთან და შეუძლია შესაბამისი მომსახურების გაწევა კლიენტის მოთხოვნილების შესაბამისად.

2015 წელს სტუდია "MHD Group Architecture" გახდა საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსის "არქიტექტურული პრემია 2015"-ს საუკეთესო ნომინანტი-პრიზიორი.

შსს მომსახურების სააგენტოს შენობა საჩხერეში
MIA SERVICE AGENCY IN SACHKHERE

Architectural studio

Studio „MHD Group Architecture" was founded in 2012. Up to this time the staff of "MHD Group" worked for other architecture and designing companies. In this sense team has more than 10 years' experience in the field of design and construction.

MHD Group Architecture is headed by the architects Mikheil Giorgobiani and Marine Lazashvili.

MHD Group Architecture is specialized in the main fields of architectural work: exterior and Interior design; construction, reconstruction and the landscape architecture as well. In order to provide their clients with the best possible facilities studio also offer the full-project-services which range from the basic designing concepts to the full project documentation including heating, ventilation and air conditioning systems, water-supply-network, fire extinguishing systems, electricity and vertical planing as well as facility management support.

თიანეთის იუსტიციის სახლი
TIANETI JUSTICE HALL

Studio's portfolio includes hotels, apartment houses, education, conference facilities, multifamily housing, mixed-use (residential, civic, commercial, leisure) projects and different types of government buildings as well: MHD Group projected several Public Service Hall ("Justice Houses") and Public Registry Offices in the different regions of Georgia. One of this Public Registry offices has been awarded as one of the three best architectural projects at the international architectural competition in Tbilisi (Archiaward 2015).

ყაზბეგის იუსტიციის სახლი
KAZBEGI JUSTICE HALL

ახალი საზოგადოებრივი შენობები

რატი ხეცურიანი: 1997 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. ექვსწლიანი სწავლების პერიოდში განახორციელა რამდენიმე, როგორც საკონკურსო, ასევე რეალიზირებული, წარმატებული პროექტი. 1998-2001 წწ. - მიწვევით იმუშავა ქ. ცაგერის მთ. არქიტექტორის თანამდებობაზე, სადაც მონაწილეობდა მაღალმთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი საინტერესო, ეთნოგრაფიული და ორიგინალური არქიტექტურული ნიმუშების აღდგენა – რესტავრაციის პროცესში. 2002-2004 წწ. მუშაობდა „თბილქალაქპროექტში“ არქიტექტორის თანამდებობაზე. 2004-2006 წწ. კი შპს „არტსტუდიოში“ - არქიტექტორის თანამდებობაზე. 2006 წ.-დან 2012 წ.-მდე შპს ”არტსტუდიო პროექტში” და შპს „სულ არქიტექტურაში” მუშაობდა დირექტორის თანამდებობებზე.

ამჟამად, ამავე ფირმებში წამყვანი არქიტექტორია. ზემოთ ჩამოთვლილ არქიტექტურულ-საპროექტო კომპანიებთან ერთად და ასევე დამოუკიდებლად შექმნილი აქვს არაერთი საინტერესო, რეალიზირებული საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, კომერციული და სპეციფიკური დანიშნულების შენობების პროექტები. არქიტექტორისთვის, მოღვაწეობის პერიოდში, მნიშვნელოვანი იყო, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ფირმებთან და უშუალოდ პროფესიონალებთან თანამშრომლობა, რამაც დიდი გამოცდილება შესძინა მას და როგორც პროექტირებაში, ასევე მშენებლობაში ცოდნის გაღრმავების საშუალება მისცა.



რატი ხეცურიანი
RATI KHETSURIANI

სავაჭრო პავილიონი

მდებარეობა: ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივნის 11 კმ-ის მიმდებარედ
პროექტის მთავარი არქიტექტორი რატი ხეცურიანი

შენობის ცენტრალური შესასვლელი მოეწყო აღმაშენებლის ხეივნის მხრიდან. შენობა სამსართულიანია და გააჩნია ნახევრად მიწისქვეშა სარდაფი. პირველი, მეორე და მესამე სართულების ვრცელი სივრცეები სავაჭრო ფუნქციისთვისაა განკუთვნილი და დატვირთულია შესაბამისი ფურნიტურით. სარდაფი, ძირითადად, საწყობის ფუნქციას ითავსებს. ნომენკლაურით შენობა განეკუთვნება მესამე კლასის შენობა-ნაგებობას. კონსტრუქციულად შენობა წარმოადგენს მონოლითურ, რკინა-ბეტონის კარკასს. შენობის მთავარი ფასადი, რომელიც გადის აღმაშენებლის ხეივანზე, ძირითადად შემინულია, ასევე ნაწილობრივ ნაწილობრივ შემინულია სავაჭრო პავილიონის სამხრეთის ფასადი, რომელიც საზოგადოებრივ სივრცეზეა ორიენტირებული.

TRADE PAVILION

Location: Near D. Agmashenebeli's Alley, 11 km, Tbilisi
The project's main architect: Rati Khetsuriani



სავაჭრო ცენტრი

ავტორები: გ. სულაბეიძე; ჩ. ხეცურიანი.
კომპანია "არტსტუდიო პროექტი"
მდებარეობა: თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა
საერთო ფართი - 13000 მ²

შენობა გეგმაში ნახევრად ოვალური ფორმისაა და იმეორებს ბალანჩინის და ბელიაშვილის ქუჩების შეერთების კონტურს. შენობის არაერთგვაროვანი მოცულობა და არქიტექტონიკა საინტერესოდ ეწერება არსებულ სივრცით გარემოში. პირველ და მეორე სართულებზე დაგეგმარებულია კომერციული ფართები. საცირკულაციოდ გათვალისწინებულია დერეფანი-პასაჟი. მე-3 და მე-4 სართულზე მხოლოდ საოფისე ფართებია დაგეგმარებული ტერასებითა და შიდა ეზოთი.

TRADE CENTER

Authors: G. Sulaberidze, R. Khetsuriani. Artstudio project company
Location: Beliashvili str, Tbilisi
Total Area: 13000 m²

მეტრა პარკი

გუნდი: არქიტექტორი
გ. სულაბერიძე, ლ. ჩიქოვანი, ჰ. ხეცურიანი,
მ. გეგეშიძე, გ. გეგელაშვილი, ო. სულაბერიძე,
გ. ღვალი, ო. თუხარელი, თ. ჯალიმღენავი,
დ. ხუსიტაშვილი, ჯ. ვაჩაძე, გ. გაგოშიძე
სტრუქტურული ნაწილი: შპს "ჯუბიჯონი"

მდებარეობა: თბილისი, ბაგების მიმდებარედ,
წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით,
საჯანდელიძის ქ.
ფართობი: 51500 მ²

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, მისი ფართია 27,5ჰა. საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო 2006 წელს, 2009 წლამდე დაპროექტებული 24 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლიდან აშენდა 17 შენობა, 2009-დან 2013 წლამდე მშენებლობა იყო გაჩერებული, შემდეგ მოხდა დამკვეთის ცვლილება და სამშენებლო სამუშაოების განახლება. „არტსტუდიო პროექტის“ ჯგუფმა დაიწყო აშენებული შენობების რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობა, განხორციელდა აშენებული სახლების დეტალური აზომვითი სამუშაოები, დამუშავდა შენობების ექსტერიერი, ინტერიერი, საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი. ამჟამად მთლიანად დასრულებულია 6 სახლის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, გაყვანილია ძირითადი სამანქანო გზა და საინჟინრო კომუნიკაციები, დასრულდა საცხოვრებელი ზონის შესასვლელი ნაწილის კეთილმოწყობის სამუშოები, მიმდინარეობს დარჩენილი სახლების სარემონტო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები. ფასადების მოსაპირკეთებელი სამუშაოები შესრულდა კომპანია "ევროფასადის" მიერ.

Metra Park

Project Team: Artstudio Project
G.Sulaberidze, L.Chikovani,
R.Khetzuriani, M.Gegeshidze,
G.Gegelashvili, O.Sulaberidze,
G.Dvali, O.Tuxareli, T.Kalomlezavi,
D.Rusitashvili, K.Vachadze,
G.Gagoshidze
Structure: LTD Cubicon
Location: Z.sakandelidze Str.,
Bageby, Tbilisi
Area: 51500 m²

Design site is located in Bageby district, Tbilisi and comprises 27.5 ha area. Construction of the complex began in 2006; at present, there are built 17 houses from 24; from 2009 to 2013 the construction process was suspended, but after changing of owner the process was renewed. Artstudio Project was involved in reconstruction process. At present, reconstruction works for 6 houses are completed; motorway and engineering mains are also arranged. Currently, finishing and land-improvement works are in progress. Fasade works implemented – Euro Fasad company.

სახლი წყნეთში

ავტორები: დავით ბახტაძე,
ვლადიმერ აბრამიშვილი,
ეროვლე დიდებაშვილი,
ირაკლი ფეტელავა

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი წყნეთში, ფერდობზეა განთავსებული. შენობა სამსართულიანია, მათ შორის ერთი ნახევრად სარდაფის. სამივე დონე ტერასებზე გადის, საიდანაც მდინარის გამწვანებული ხეობის მშვენიერი ხედი იშლება.

შენობის საერთო ფართი 527.00 კვმ შეადგენს.

ფასადი ნაწილობრივ შელესილია. ნაწილობრივ ხელოვნური ქვით და Fundermax-ის კომპოზიტური პანელებით არის მოპირკეთებული.





House in Tskneti

Location: Tskneti, Tbilisi
Building Area: 527.0 m².
Authors: David Bakhtadze, Vladimer Abramishvili, erekle Didebashvili, Iraakli Petelava



Стиль и Стилизация

ЭВОЛЮЦИЯ АРХИТЕКТУРНОГО ПРОФЕССИОНАЛИЗМА

ЧАСТНЫЙ ИНТЕРЬЕР

Талантливый в воплощении оригинальных идей и концепции, киевский архитектор Иван Юнаков в очередной разпорадовал передовое украинское архитектурно-дизайнерское сообщество своей новой, стильной и выдержанной работой, реализованной в живописном месте, на лоне природы. Это стало возможным во многом благодаря тому, что проект дома был реализован в экологически чистом и спокойном городе Буче, который, впрочем, находится не так далеко от шумной столицы.

Среди стройных и высоких стволов бучанских сосен, в лучах солнца – проект этого дома нашел для себя идеальную локацию, где ар-хитектура современного и довольно массивного строения была мастерски вписана в окружающий ландшафт.

К слову, если речь уже зашла об экстерьере, то здесь просто невозможно обойти вниманием ландшафтный дизайн, реализованный на площади прилегающей к дому территории, что разумеется вносит дополнительные гармонизирующие штрихи.

Автор: Иван Юнаков
Студия: Yunakov Architecture and Design
Месторасположение: Буча
Год реализации: 2015







Впрочем, эта работа интересна не только красивым приватным садом (или даже парком), профессионально спроектированным и возведенным объемом, но и не менее оригинальным и, одновременно с этим, зрелым интерьером.

Особое внимание, команда Yunakov Architecture and Design уделила функциональному зонированию и планировке дома. Внутренние помещения плавно и едва заметно перетекают друг в друга, постоянно взаимодействуя с элементами экстерьерной части. Интерьер дома состоит из двухсветного зала, столовой, кухни, кабинета, гостевой спальни и двух крытых террас на первом этаже.

Самой сложной задачей проекта стала стилистическая реализация дома в духе великого светила архитектуры – Ф.Л. Райта. Известно, что одна из характерных черт и основных принципов его архитектуры – это словно прижатый кровлей объем дома, что создает иллюзию приземленности и выражает явную горизонтальную композицию.

Еще одним принципом типичного «райтовского» творения можно назвать большой вынос кровли от фасада, что, помимо этого создает некую аллюзию на японскую традиционную архитектуру. Это тонкое и эстетичное слияние узнаваемых европейских и азиатских черт архитектуры (в том числе ландшафтной) создало неповторимый характер всего проекта, реализованного, между тем, на украинской земле.

Еще одной характерной чертой стилизации стало большое количество крытых террас, растягивающих строение по участку.

Просто невозможно обойти вниманием ландшафтный дизайн, реализованный на площади прилегающей к дому территории, что разумеется вносит дополнительные гармонизирующие штрихи.

Журнал ДОМ И ИНТЕРЬЕР /
WWW.INTERIORGODA.COM.UA
Специально для журнала Style

Стиль и Стилизация

ЭВОЛЮЦИЯ АРХИТЕКТУРНОГО ПРОФЕССИОНАЛИЗМА











დიზაინი ინტელექტუალური და სულიერი

მაია წერეთლის დიზაინი გამოირჩევა მკვეთრი ხელწერით, სივრცე იზრდება უნიკალური კონფიგურაციის წყალობით წარმოქმნილ ტიპოლოგიათა განუმეორებლობითა და ავტონომიურობით. ინტერიერის თითოეული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე თამამი, არაორდინალური დეკორაციაა, დიზაინერული კოლაჟია. ეს ეფექტი, მას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინდივიდუალურობას სძენს. მისი მონაკვეთების, ცალკეული დეკორატიული ელემენტების და აქსესუარების უცხო სინქრონი, ბუნებრივი და ხელოვნური განათების სრულად ათვისებისა და სივრცეებში მაქსიმალურად მიმობნევის საშუალებას იძლევა.

ფოტო: რაფო არზუმანოვი







Intellectual and Spiritual Design

Maia Tsereteli's design is bold and original, expanding the limited space due to the autonomous topology of originally configured levels. Each horizontal and vertical plane of the interior is an ingenious decoration, a design collage. Individual quality of the interior if further highlighted by unusual harmony of its constituent parts, decorative elements and accessories, efficient application of daylight and artificial lighting, integral design composition, soft transitions of colors and dialogues of lines and figures

PHOTO BY: RAPHO ARZUMANOV

სილამაზის სალონი საკურამი

მდებარეობა: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი
ფართობი: 270 კვ.მ.
ავტორი: ზვიად სუჩგულაძე

მოცემულ სივრცის ერთიანი ინტერიერული სახე სილამაზის ხედვით - თანამედროვე დეკორის მოტივებით, მოცულობითი და პლასტიკური გადაწყვეტებით, არქიტექტურული რითმებითაა მიღწეული. ყოველ შტრიხსა და ნიუანსში, მათი ტონალობასა და სივრცეში გადანაწილებით პროფესიონალიზმი და დახვეწილი გემოვნება ჩანს. თავისუფლად ფორმირებულ საზოგადოებრივ სივრცეში თითოეული ნიუანსი აქცენტირებულია. ყოველი მონაკვეთი იპყრობს ყურადღებას, როგორც განსაკუთრებული მოვლენა. გეგმარების გადაწყვეტის ლაკონიზმი დიზაინის სტილის განმსაზღვრელი ხდება. ყოველ მოცემულ შემთხვევაში, ინტერიერი, თითქოს შიგნიდან ნათდება განსაკუთრებული, მისეული შუქით, რასაც „გამჭვირვალე“ დეტალების, აქსესუარების, ავტორის მიერ შექმნილი დეკორატიული კომპოზიციების, განათების სინქრონი აღრმავებს. „საკურამის“ ინტერიერი ავტორის პიროვნულობის სავიზიტო ბარათია. იგი, მისი შემოქმედებითი კულტურის ერთ-ერთი მეტად მობილური ფორმაა, რომელიც მეტად ფაქიზად რეაგირებს ნებისმიერ ცვლილებაზე.

ნინო ლაღიძე





Beauty salon Sakurami



Location: Chavchavadze ave., Tbilisi
Area: 270 m²
Author: Zviad Surguladze

Presented project are quite unusual for Georgian standards. They boast integral style based on mixture of modern and dynamic motives, spatial design solutions and architectural rhythms, the author's high professionalism and refined taste. In freely organized public interiors every object is accentuated and every bit of space surprises with its originality.

Sakurami's Laconic planning solutions are counterbalanced by careful attention toward minor details, visualization of which eventually defines the design style. In each particular case the interior seems to be illuminated by special radiance, highlighted by accessories, decorative compositions, combination of natural and artificial lighting and much, much more…







სილამაზის სალონი MIRROR

ძიძრნ იმ ЯО



მდებარეობა: თბილისი, ბესიკის ქუჩა
ფართობი: 110 კვ.მ.

წარმოდგენილი, ძალზედ საინტერესო და განსხვავებული ინტერიერი სილამაზის სახლისთვის Mirror - ზვიად სურგულაძემ შექმნა. მოცემული სივრცე კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი, თუმცა ამავე დროს თანამედროვე ელემენტებსაც მოიცავს. სივრცეში ორიგინალური კომპოზიციების, დიზაინერული ნაკეთობების, აქსესუარების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე საინტერესო თემებითაა სავსე და მის ორგანიზებაში სწორედ ეს გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი.

Beauty Center Mirror

Lication: Besiki street, Tbilisi
Area: 110 m²

The public interior - Mirror Beauty Center designed by Zviad Surguladze are built up on the effect of pleasant unexpectedness. Original design compositions and accessories are distributed within the space in accordance with definite rules, by large defining the general character of the atmosphere. The interior is filled with an array of interesting themes, and this is the key creative principle underlying its design.







სისადავე და ფუნქციონალიზმი

არქიტექტორის მარინა მაისურაძის მიერ ორიგინალური გადაწყვეტითა და საინტერესო მიგნებებით კომფორტული, ესთეტიკურად თვითმყოფადი საცხოვრებელი სივრცე წარმოიქმნა. ინტერიერში მოცულობები თავისუფლადაა განთავსებული - ყველაფერი მხოლოდ სილამაზისთვის და სარგებლობისთვისაა შექმნილი. სივრცის თითოეული მონაკვეთი დამოუკიდებელი და დამთავრებულია. სკულპტურა, ნახატი (ავტორი: მოქანდაკე რეზო ხასია), ფურნიტურა საერთო ასოციაციების სისტემაშია ჩართული. გეომეტრიული ჭრილები გარემოს მეტად გამომხატველობითს ხდის. იდეის გარეგნული მოჩვენებითი „სიმარტივე" გააზრებულ ფუნქციონალიზმთან და კომფორტთანაა შერწყმული. ამგვარად იქმნება „პიროვნულობისკენ" მიმართული ბინის დიზაინი, რაც ძალზედ მოსახერხებელია სივრცის შემდგომი გარდასახვისათვის, რადგან დიზაინი, პრაქტიკულად, ავტორის მიერ შექმნილ, ნებისმიერ დეტალს „ითვისებს" და „საკუთარი", განსაზღვრული ადგილის დაკავებით ინტერიერს დასრულებულ სახეს აძლევს.

ნინო ლალიძე





Simplicity and functionalism

This residential interior in Tbilisi was designed by the architect Marina Maisuradze. The beauty of this designs exceeds aesthetic perception, developing on different planes and breathing a life of its own. Diversity of this beautiful, well-organized space and top quality of its refined forms are merged into a credible organism. Sculpture, paintings (author: sculptor Rezo Khasia) accessories, proportions, mobile graphics - their integrity naturally forms unordinary spaces devoid of excess sophistication. The distinguishing traits of their architecture are flexibility, originality and elegance. Seeming simplicity of the concept is merged with functionality and comfort, allowing further "personalization" and creation of a unique living atmosphere.

NINO LAGHIDZE



ბაღი ბათუმში
GARDEN IN BATUMI, GEORGIA



გაზონი „თეგეტა მოტორსთან“, დიღომი, თბილისი
THE LAWN NEAR TEGETA MOTORS IN DIGOMI, TBILISI

ლანდშაფტის დიზაინი

წარმოგიდგენთ კომპანიის "Euro ეზო" - ერთ-ერთი ხელმძღვანელის და დიზაინერის ირმა ირემაძის მიერ შექმნილ ლანდშაფტურ დიზაინს.

კომპანია 1988 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს საბაღე კულტურის ამაღლებას ჩვენს ქვეყანაში. "Euro ეზო" მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც სისტემატურად მოიძიებენ, შემოაქვთ და ნერგავენ უცხოურ საბაღე მცენარეებს, ტექნიკასა თუ აქსესუარებს საქართველოში. კომპანიას გააჩნია ხელვაჩაურის რ. სოფ. მეჯინისწყლის საკუთარი სასათბურე სანერგე მეურნეობა და გორის რ. სოფ. ქვეშის რულონური გაზონის გამოსაყვანი მეურნეობა. ამჟამად, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავებისთვის კომპანია ახალ სათბურს აშენებს.



გაზონი „თეგეტა მოტორსთან“, დიღომი, თბილისი
THE LAWN NEAR TEGETA MOTORS IN DIGOMI, TBILISI



ეზო წყნეთში
THE YARD IN TSKNETI BOROUGH, GEORGIA

ბალი ბათუმში
GARDEN IN BATUMI, GEORGIA

Landscape Design

Present you, the Euroezo Landscape company's co-head and designer Irma Iremadze's Landscape Design. Euroezo company was established in 1988. company's main goal has been to develop garden culture in our country. Personnel consist of highly qualified staff, with their constant exercises they search for, find and introduce foreign garden plants, technique and accessories to the local market. They have their own greenhouse nursery thrift in the city of Batumi and sod grass nursery in Gori region. At the moment they are building a new greenhouse for annual and perennial plants.

გაზონი „თეგეტა მოტორსთან“, დიღომი, თბილისი
THE LAWN NEAR TEGETA MOTORS IN DIGOMI, TBILISI

ეზო დიღომში, თბილისი
THE YARD IN DIGOMI, TBILISI

გაზონი „ტოიოტას ცენტრთან“, თბილისი
THE LAWN NEAR TOYOTA CENTER TEGETA, TBILISI





პროექტი - მწვანე გარემო

2016 წლის ივნისის თვეში ორგანიზაციამ „ეკოლოგიკა“ პროექტის “მწვანე გარემოს” ფარგლებში, თბილისში, საბურთალოს რაიონში ალექსიძის ქუჩაზე რეკრეაციული ზონის - სკვერის კეთილმოწყობის ლანდშაფტურ პროექტზე კონკურსი გამოაცხადა. პროექტირებაზე ორგანიზაციამ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან იმუშავა.

- კონკურსი ჩატარდა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს შორის, რათა უფრო მეტი ახალგაზრდა ყოფილიყო ჩართული პროექტში. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი და კონკურსის ერთ-ერთი ინიციატორი დიანა ბერია აღნიშნავს “ეკოლოგიკის” დანიშნულებაა გარემო, მისი მუდმივი გაუმჯობესებითა და გაჯანსაღებით, ნაკლებად საზიანო გახადოს ადამიანთა ჯანმრთელობისთვის. ორგანიზაციის ეგიდით გარემოს დაცვის მიმართულებით ბევრი სასიკეთო პროექტს ჩაეყარა საფუძველი და განხორციელდა.

კონკურსის შედეგები 9 პროექტით იქნა წარმოდგენილი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 12 სტუდენტმა.

21 ივლისს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჟიურის წევრებმა (ნინო ხაბეიშვილი, გოჩა მიქიაშვილი, ნუგზარ ხვედელიანი, გიორგი წულუკიძე, ალექსანდრე აფციაური, ნინო ლაღიძე, საბურთალოს გამგეობის წარმომადგენლობა, მაკა მახაური) შეარჩიეს საპრიზო კატეგორიებზე გასული ნამუშევრები.

26 ივლისს კი საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გაიმართა ნამუშევრების გამოფენა-დაჯილდოების ღონისძიება.

გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები, 1000, 700, 500, 300 ლარიანი ფულადი პრიზები; II და III საპრიზო ადგილების მფლობელებს საჩუქარად გადაეცათ წიგნები არქიტექტურის შესახებ; სხვა ყველა მონაწილე კი დაჯილდოვდა სერტიფიკატებით და150 ლარიანი ფულადი პრიზებით. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ნინო სულხანიშვილი - ქალაქ თბილისის გამწვანებისა, ეკოლოგიის სამსახურის უფროსი, ბექა მიქაუტაძე - საბურთალოს რაიონის გამგებელი, ჟიურის წევრები და სხვა ოფიციალური პირები თუ ამ მოვლენით დაინტერესებული საზოგადოება.

გამოფენა-დაჯილდოების ღონისძიებაზე გამოვლინილი გამარჯვებული ნამუშევრის მიხედვით, რომლის ავტორია ნუცა დემეტრაშვილი, ტერიტორია მაქსიმალურად ათვისებულია, დიდი რაოდენობითაა გამოყენებული მწვანე საფარი და გამოყოფილია სხვადასხვა ზონები, რომელიც ნებისმიერი ასაკისა თუ სტატუსის მქონე პირთათვის იქნება მორგებული. სამუშაოების დაწყება ახლო მომავალში იგეგმება.

The project - Green environment

In June 2016, the organization “Ekologika” within the project “green environment” announced the competition of recreation area - square - landscape amenities Project (Location: Aleksidze, street, Tbilisi) . Ekologiki’s goal and purpose is the environment, its constant improvement and recovery, less harmful to the human health. The organization (Head: Diana Beria) has worked with students at Architecture, Design and Urban Planning faculty at the Technical University. The According to the winner project (Author: Nutsa Demetrashvili) area as much as possible is green. Here is different zones, which will be adjusted for any age or status of persons.

გამარჯვებული ნამუშევრის ავტორი ნუცა დემეტრაშვილი
AUTHOR OF WINNER PROJECT: NUTSA DEMETRASHVILI

გამარჯვებული პროექტი
WINNER PROJECT



პერსონალური გამოფენა

2016 წლის 15 ივლისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში არქიტექტორის - ნინო მელიქიშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. 18 ივლისს კი საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ნინო მელიქიშვილის საჯარო ლექცია - „განზოგადებული არქიტექტურა“.

საინტერესო ლექციის სიახლე გამოიხატა ურბანიზირებული გარემოს ვიზუალური აღქმის ობიექტად განხილვის ფენომენის არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობის პროცესის განუყოფელ ნაწილად წარმოჩენასა და მისი დაგეგმარების შედეგების პროგნოზირების და ობიექტური შეფასების ინსტრუმენტად თვალსაჩინოდ წარმოჩენაში.

გამოფენა 22 ივლისამდე გაგრძელდა.





Personal exhibition

On July 15 in the conference hall of the National Library Georgian Parliament opened Nino Melikishvili's personal exhibition. On July 18, Nino Melikishvili's a public lecture - Generalized Architecture - was held in the conference hall of the National Library.

The novelty of the Interesting lecture was reflected in demonstrating the phenomenon of visual perception of urbanized environment as an integral part of architecture and urban planning process and demonstrate as the objective assessment tool.

The exhibition lasted until July 22.







ს(კ)ამი

გიორგი მარგიშვილის პერსონალური გამოფენა

ახტახეა 1-3 ივლისი, 2016 წ.

არქიტექტორებს შორის გავრცელებული პრაქტიკაა ავეჯის დიზაინში თავის მოსინჯვა, რაც საქართველოში ჯერ-ჯერობით ნაკლებადაა მიღებული.

სამსაყრდენიანი სკამების დიზაინის შთაგონების ბიძგის მიმცემი ქართული ტრადიციული სამ-ფეხა სკამები (ჯორკო, ჩიკა) და სავარძლებია .

წარმოდგენილია 2013-2016 წლების სამ-საყრდენიან სკამები, ესკიზები და მოდელები

- გამოწვევა მდგრადობას - 2013
- მხედრული - 2015
- ანცი მეფის სავარძელი - 2015
- № 52 - 2015
- ბარის სკამი - 2016

ბარის სკამი - 2016
BAR STOOL - 2016

არქიტექტორი გიორგი მარგიშვილი დაიბადა 1960 წ. თბილისში.

1982 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი.

1983 - 1995 წწ. - „საქქალაქმშენსახპროექტი“, მე-2 სახ-ელოსნო (არქიტექტორი, ჯგუფის უფროსი, სახელოსნოს ხელმძღვანელი)

1995 – 2012 წწ. - ფილიპ მორისის წარმომადგენლო-ბა საქართველოში (საქონელმცოდნეობის განყოფილების უფროსი, კორპორატიულ ურთიერთობათა მმართველი, წარმომადგენლობის ხელმძღვანელი)

2012 წლიდან „სტუდია სამი“-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი

1990 წლიდან საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი

1995 წ. ქართველ არქიტექტორთა ინსტიტუტის დამფუძნებელი

30-ზე მეტი არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი პროექტის ავტორი

ანცი მეფის სავარძელი - 2015
WAGGISH KING'S CHAIR - 2015

52 - 2015

S(k)ami (TRIPOD)

PERSONAL EXHIBITION OF GIORGI MARGISHVILI

Artarea, July 1-3, 2016

It is a common practice among architects (though not so popular in Georgia) to try their hand at furniture design.

Giorgi Margishvili used the traditional design of three-legged Georgian stools (jorko, chika) and chairs as inspiration for creation of tripod chairs.

His exhibition included tripod chairs, sketches and models created in 2013-2016:

- Challenge the stability - 2013
- Mkhedruli - 2015
- Waggish king's chair - 2015
- # 52 - 2015
- Bar stool - 2016

52 - 2015



მხედრული - 2015
MKHEDRULI - 2015



Architect Giorgi Margishvili was born in Tbilisi in 1960.

1982 – Giorgi Margishvili graduated from the Architectural Faculty of the Georgian Polytechnic Institute.

1983-1995 – Georgian SSR Ministry of Construction, National Project Design Institute, Studio 2 (Architect, group leader, studio manager)

1995-2012 – Phillip Morris Georgia (Head of Merchandising Department, Corporate Relations Manager, Head of the Naitonal Representation)

Since 2012 – Sami Studio, founder and director

Since 1990 – Member of the Union of Architects of Georgia

1995 – founded the Institute of Georgian Architects

Created 30 architectural and urban planning projects

გამოწვევა მდგრადობას - 2013
CHALLENGE THE STABILITY - 2013

მხედრული - 2015
MKHEDRULI - 2015



CUBE OF GLORI IN SENAKI
დიდების კუბი სენაკში

სიმონ-ვაჟა მელიქიშვილი - 1936-2004

„თავისი მოსვლით საფიქრალს გვიტოვებდა“-ამბობდნენ მხატვრები ვაჟა მელიქიშვილზე. ბედნიერია შემოქმედი, რომელიც თავისი სათქმელით მოვა, შექმნის საკუთარ სამყაროს და ეს სამყარო არავის არ ჰგავს, მისია მხოლოდ....

ვაჟა მელიქიშვილის ცხოვრება სავსეა მუდმივი ძიებებით და ფორმათა სიახლით, მკვეთრი ინდივიდუალურობით, საგანთა და მოვლენათა არსში წვდომისა და განზოგადების დიდი ნიჭით. ხელოვნებათმცოდნეთა შეფასებით იგი გამოირჩეოდა დღევანდელობისათვის თითქოს უჩვეულო აზროვნებით, რომელიც მატერიალურისაგან განყენებულის ვიზუალურად წარმოჩენისაკენ იყო მიმართული, რაც თავისთავად ხელოვნების მარადიულობის ნიშან-თვისებაა.

სიმონ-ვაჟა მელიქიშვილმა თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიიღო უმაღლესი განათლება, ისეთი ცნობილი ხელოვანების ხელმძღვანელობით, როგორებიც იყვნენ ს. ქობულაძე, ს. კაკაბაძე, დ. გაბაშვილი... მისი პედაგოგი იყო ახალი ქართული ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნ. კანდელაკი. 60-იან წლებში ვაჟა მელიქიშვილის სადიპლომო ნამუშევარმა, რომელსაც „წყურვილი“ ჰქვია, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო თავისი პროფესიული სიძლიერითა და შესრულების ორიგინალურობით.

პერიოდი, როდესაც ვაჟა მელიქიშვილი შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა, დაემთხვა მნიშვნელოვან გარდატეხას ქართულ სახვით ხელოვნებაში. იგი ამ პროცესების აქტიური მონაწილე გახდა: ააგო მთელი რიგი მნიშვნელოვანი კომპლექსები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ: გამარჯვების სტელა (სიღნაღი, 1966 წ.); ა. წერეთლის მემორიალი (საჩხერე-სხვიტორის გასაყარზე 1988 წ.); „შინმოუსვლელთა“ გრანდიოზული მემორიალი სენაკში - „დიდების კუბის“ (1976-1984 წწ.) 120-ზე მეტი დეფორმირებული, მაგრამ, ამავე დროს, კლასიკურ კანონზომიერებას დამორჩილებული ფიგურა, რომელიც გაოცებას იწვევს ზოგადსაკაცობრიო მარადიული ტკივილის სიმბოლურ-რეალისტური ასახვის მაღალპროფესიული დონით. ვაჟა მელიქიშვილი ავტორია ბარელიეფების სერიისა, როგორიცაა, „დოვლათი“ (თბილისი, 1969 წ.); კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში განთავსებული ბარელიეფისა „თბილისური მოტივი“; თბილისის სიონის კარიბჭისათვის გამიზნული, სახარების მოტივებზე აგებული კომპოზიცია - „ღვთიმშობელი ყრმით“; მისი საჭრეთლის შექმნილია ცნობილ ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები, მათ შორის შ. დადიანის, ვ. გუნიას, ნ. კალანდარიშვილისა... ბრწყინვალე ფიგურა მ. თამარაშვილისა...

ბოლო პერიოდში იგი გატაცებული იყო მითოლოგიური და ისტორიული თემებით: „მეზღაპრე“, „მეფე აიეტი“, „მეფე თამარი“ და სხვ. - საზოგადოებაში და კოლეგებში მისი ეს ნამუშევრები იწვევდნენ დიდ დაინტერესებას, ვნებათა ღელვას, ცხარე კამათს... თუმცა უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა გამოფენებზე წარმოდგენილმა ამ ნამუშევრებმა სწორედ დამთვალიერებელი საზოგადოების დიდი ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. ასე რომ, გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, თითქოს საქართველოში მრგვალი ქანდაკების ტრადიცია არ არსებობს და, ამდენად, ის ჩვენში ვერც ვითარდება, ვაჟა მელიქიშვილის შემოქმედება სრულიად აქარწყლებს.

ვაჟა მელიქიშვილის სახელთან დაკავშირებულია არა მარტო ქართული ქანდაკების, არამედ ქართული წიგნის მხატვრობის განვითარების სრულიად ახალი ეტაპი და პერსპექტივები. ეს არის ტრადიციული ქართული მინიატურული მხატვრობის ახალი ეტაპი, რომელიც სრულიადაც არ არღვევს და ორგანულად აგრძელებს შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების ესთეტიკის ტრადიციებს.

ბოლო გამოფენაზე (სადადგმო შეთავაზება) წარმოდგენილ ქანდაკებებს ვაჟა მელიქიშვილი თავის სათაყვანებელ ქალაქში, თბილისში ხედავდა, რომლის ქუჩებში ხეტიალი მას ასე ძლიერ უყვარდა: „გავალ, თბილისს გადავხედავ“, - იტყოდა ხოლმე და ფეხით გაუყვებოდა რუსთაველის გამზირისაკენ...

დამანა მელიქიშვილი

ამონარიდი წიგნიდან ვაჟა მელიქიშვილი / ქანდაკება „ჩემი ნამუშევრების არასრული ნუსხა“
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. თბილისი 2011 წ.





CUBE OF GLORI IN SENAKI
დიდების კუბი სენაკში

Simon-Vajha Melikishvili - 1936-2004

ავტოპორტრეტი
SELF-PORTRAIT

მეფე აიეტი
KING AYET
1985 – 1993

"After every visit he would leave us with something to contemplate about" used to say the artists about Vajha Melikishvili. The creator is fortunate, if he comes with something to say, if he's able to create his own world and if this world is different from anything else, his own world…

Vajha Melikishvili's life was full of constant search and novelties of forms, deep originality with understanding of things and events and a great talent of generalization. According to the evaluation of art scholars, he was distinguished by the way of thinking and it was channeled towards the visualization of immaterial, which is the sign of the eternity of the arts.

He received his high education in the Tbilisi Academy of Arts under the guidance of such distinguished artists as S. Kobuladze, S. Kakabadze, D. Gabashvili… His teacher was one of the founders of new Georgian sculpture, N. Kandelaki. In 60-ies, the diploma work by Vajha Melikishvili, called "the Thirst", attracted the attention of the society by its professional craftsmanship and the originality of the work.

Period when Vajha Melikishvili emerged as an artist, coincided with the crucial breaking point in Georgian visual arts. He became an active participant of this process: he constructed the number of important complexes in Georgia and outside the country: The Stela of Victory (Signagi, 1965), Akaki Tsereteli Memorial (Sachkhere Skhvitory Junction, 1988); "The great memorial to the "Lost in War"- "The Cube of Glori" (1976-1984) – more than 120 deformed figures which nevertheless abide to the classical laws of form, and which astonish the viewer with the high level of professionalism in expressing the global eternal pain of mankind in realistic symbols. Vajha Melikishvili is an author of such series of basreliefs as "The Riches" (Tbilisi, 1968); one located in the Krtsanisi Governmental Residence "Motifs of Tbilisi"; the composition built on the Gospel, designated for the gates of Sioni Cathedral – "Mother Mary with the Child"; Among his works are the portraits of famous Georgian figures, among others of Shalva Dadiani, Valerian Gunia, Nestor Kalandarishvili… the great sculpture of Mikheil Tamarashvili…

თამარ მეფე
UEEN TAMAR
1995 – 2004

In the last period of his life he was preoccupied with the historical and mythological themes: "The Story Teller", "The King Aieti", "The King Tamar" and other – these of his works were of upmost interest among his colleagues and a society in general and created fierce arguments. But it needs to be mentioned that, these works, presented in various exhibitions, attracted the attention of the society and were highly prized by the viewers. Thus the accepted assumption that the tradition of the round sculpture is non-existent in Georgia, because of which it can not be further developed, is completely diminished by the works of Vajha Melikishvili."

Completely new stage and perspectives of not only Georgian Sculpture but also the book illustration arts are linked to Vajha Melikishvili's name. this is a new stage of traditional Georgian miniature art, which does not

violate and originally continues the traditions of the esthetics visual arts of middle ages.

The sculptures presented during his last exhibition (staging offer) , Vajha melikishvili envisaged to be mounted in Tbilisi, his home city, strolling along the streets of which he enjoyed so much: "I'll go out, have a look at Tbilisi" he would say and start heading towards Rustaveli avenue…

DAMANA MELIKISHVILI

Excerpt from the book VAJHA MELIKISHVILI/ SCULPTURE "INCOMPLETE LIST OF MY WORKS" Ministry of Culture and Monument Protection of Georgia. Tbilisi 2011.



ინტელექტი
INTELLECT
1974



სკულპტურული კომპოზიცია - „ხარი“ 2012
THE SCULPTURE COMPOSITION OF BULL, 2012

ახალგაზრდა არქიტექტორი მოქანდაკე დიზაინერი

ვახტანგ ხელაშვილი

წარმოგიდგენთ ახალგაზრდა, ნიჭიერ შემოქმედს.

ვახტანგ ხელაშვილმა 2015 წელს დაამთავრა თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატი. ამჟამად, ამავე ფაკულტეტის მაგისტრანტია. პარალელურად, 2014-2015 წწ.-ში დამთავრებული აქვს იტალიაში, ქ. ტურინში IED - იტალიის საერთაშორისო ევროპული დიზაინის უნივერსიტეტის, სატრანსპორტო დიზაინის ფაკულტეტი (Diploma Ns-07-1654-1314).

ვახტანგი მრავალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია: 2009 წ. - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ აქციაში მონაწილეობისა და ამავე თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებისათვის მიღებული აქვს სერტიფიკატი და ჯილდო (კომპიუტერული ტექნიკა); 2011 წ. - ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ კონკურსში - ქ. ახალციხეში არსებული კულტურული მემკვიდრეობის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის) ძეგლის “ახალციხის ძეგლის” ტერიტორიაზე ორ გალავანს შორის მშენებარე სკულპტურების პარკის ტერიტორიაზე საუკეთესო სკულპტურული კომპოზიციის - “ხარის ქანდაკება“ - არქიტექტურულ-მხატვრული პროექტის წარმოდგენისათვის მიენიჭა ჯილდო 10000 ლარის ოდენობით; 2007, 2008, 2009 წწ.-ში კავშირის „ახალი ხელოვნება“ და „ელიტ ელექტრონიქსის“ მიერ ჩატარებულ მოზარდთა ლიტერატურულ კონკურსებში - „ალუბლობა“ - დაჯილდოებულია სპეციალური დიპლომებით და სხვ.

ახალგაზრდა შემოქმედი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო თუ ადგილობრივ გამოფენებში და კონფერენციებში. მისი ლიტერატურული სტატიები და გრაფიკული ჩანახატები გამოქვეყნებულია სხვადასხვა გამოცემებში.

2016 წლიდან არის კომპანიის ARTSTUDIO project-ის არქიტექტორი.



მანქანის დიზაინი
DESIGN OF A CAR

სკულპტურული კომპოზიცია - „ხარი“ 2012
THE SCULPTURE COMPOSITION OF BULL, 2012


სკულპტურა - „ქალის თავი“, 2010
THE SCULPTURE OF A WOMAN'S HEAD, 2010

დედის ქანდაკება, 2005
THE SCULPTURE OF MOTHER, 2005

ანგელოზი
(პატრიარქის საკუთრება) 2007
THE SCULPTURE OF AN ANGEL, 2007
(WAS PLACED IN PATRIARCHY OF ILIA II THE PATRIARCH OF GEORGIA)

Young Architect, Sculptor and Designer

VAKHTANG KHELASHVILI

Education
At the time being – Tbilisi State Academy of Arts, Faculty of Architecture, Master Degree Course
2014-2015 - IED International Europeo Design, Italy, Torino
2012-2015 – Tbilisi State Academy of Arts, Faculty of Architecture, Bachelor of Architecture

Awards:
2009 – Certificate and prize for participation in a literary action dedicated to the 1921 Soviet Occupation of Georgia, organized by the Ministry of Education and Science of Georgia;
2011 – 10000 GEL award for presenting the best architectural-artistic project of a sculptural composition (the Bull) under the competition on arranging a park of sculptures at the existing cultural heritage site in Akhaltsikhe, organized by Akhaltsikhe City Municipality
2007/2008/2009 – Diplomas and other prizes for participation in literary competition “Alubloba”, organized by “New Art” Union and “Elite Electronics”

Young artist is actively involved in international and national exhibitions and conferences. His literary articles and graphic drawings are published in numerous publications.
Since 2016 Vakhtang Khelashvili works as architect in ARTSTUDIO project Company.

აბსტრაქცია. 2015
ABSTRACTION

აბსტრაქცია. 2015
ABSTRACTION

სადიპლომო ნამუშევარი - „ხელოვნების სასახლე“ (ფრაგმენტი)
DIPLOMA WORK - "ART PALACE" (FRAGMENT)

გრაფიკა (ქაღალდი, ტუში), 2009
GRAPHIC (PAPER, INDIAN INK), 2009

თბილისის სახელმწიფო აკადემია საზღვრებს გარეთ

ინტერვიუ სამხატვრო აკადემიის ასოცირებულ პროფესორთან, დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ნინო მგალობლიშვილთან

ქალბატონო ნინო. რას გვეტყვით ქართული მოდის შესახებ, როგორ შეიძლება მისი მდგომარეობის მოკლედ დახასიათება?

ნინო მგალობლიშვილი - დღეისათვის ჯერ კიდევ რთულია განსაზღვრო ქართული მოდის მდგომარეობა საერთაშორისო კრიტერიუმების თვალსაზრისით. არ დავაკონკრეტებ ,,რა უშლის ხელს", ამ შემთხვევაში ამის ახსნა-განმარტება შორს წაგვიყვანს. მაგრამ, ხშირად მითქვამს, და ახლაც გავიმეორებ - უმთავრესია, სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბება და ფინანსური მხარდაჭერა. მითუმეტეს, რომ, ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით, Fashion-ინდუსტრიის განვითარება ძალზე მომგებიანია სახელმწიფოსათვის. სამწუხაროდ, ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. ეჭვს არ იწვევს, ამ ფონზე, როგორი მნიშვნელოვანია ქართველ დამწყებ დიზაინერთა ჩამოყალიბება საერთაშორისო კრიტერიუმების გათვალისწინებით. მათ ჰაერივით სჭირდებათ საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით პროექტებსა და პროგრამებში ჩართვა და საერთაშორისო დადებითი გამოცდილების გაზიარება, Fashion-ინდუსტრიის გლობალურ პროცესებში ჩართულობა.

ვიცით, რომ გაზაფხულზე სამხატვრო აკადემიამ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა. მოგვიყევით კონკურსის შესახებ, რა ისტორია აქვს და რამდენად საინტერესოა ქართველი სტუდენტებისთვის მასში მონაწილეობა?

ნ.მ. - პროექტი, რომელიც თქვენ ახლა ახსენეთ, შეიძლება ითქვას, უნიკალურია. ITS ("International Talent Support" . ქ. ტრიესტე, იტალია) - ძალზე პრესტიჟული საერთაშორისო Fashion-კონკურსია. მისი მთავარი მიზანია საერთაშორისო არენაზე მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ნიჭიერ ახალგაზრდა დიზაინერთა მხარდაჭერა. ITS Fashion-კონკურსის ფინალისტები მსოფლიო მნიშვნელობის სპონსორებისა და პარტნიორების მხარდაჭერით უერთდებიან გლობალურ საერთაშორისო დიზაინერთა გაერთიანებას. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი პროფესიისათვის. ITS ("International Talent Support") დაფუძნდა 2002 წელს. მისი თხუთმეტწლიანი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა მსოფლიოს ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდამჭერთა აღიარებულ პლატფორმად. რაც მთავარია, ITS ჩამოაყალიბდა როგორც ტალანტების მხარდამჭერი მუდმივად მოქმედი ქსელი. 15



წლის მანძილზე ITS-მა შექმნა CREATIVE არქივი - მოდის ევოლუციის ისტორიის უნიკალური კოლექცია. უნდა აუცილებლად აღვნიშნო, რომ 500-ზე მეტი ფინალისტი დღემდე იკავებენ საკვანძო თანამდებობებს მოდის ყველაზე მნიშვნელოვან ბრენდებში ან ცნობილნი არიან საკუთარი პოპულარული ხაზით. სასიხარულოა, რომ მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია და ჩვენთვის საამაყოა ჩვენი თანამემამულის დემნა გვასალიას დიდი წარმატება.

სწორედ, აი ამ მასშტაბის ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა ქართველმა ახალგაზრდა დიზაინერებმა. უფრო კონკრეტულად, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (თსსა) დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა და ახალ კურსდამთავრებულებმა. მოდის მიმართულების სტუდენტების გარდა მონაწილეობდნენ ასევე სამრეწველო დიზაინისა და ტექსტილის დიზაინის სტუდენტებიც, რაც, თავის მხრივ, დისციპლინათა ინტეგრირების თანამედროვე პრაქტიკების აუცილებელი პირობაა.

ნინო, თქვენ პროექტის ავტორი და ინიციატორი ბრძანდებით. როგორ შეარჩიეთ მონაწილეები, რა ეტაპები გაიარეს, რომ კონკურსში მონაწილეობა მიეღოთ?

ნ.მ. - ხშირად მითქვამს, სამწუხაროდ და

დღესაც მიხდება ამაზე საუბარი - საქართველოში არ არსებობს Fashion-ინდუსტრიის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია და ფინანსური მხარდაჭერა. ყოველივე ეს, ბუნებრივია, აფერხებს ახალგაზრდა დიზაინერთა პროფესიონალურ ზრდას, მათი შემოქმედების საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებას. ამიტომ ITS-ში მონაწილეობის შანსის არგამოყენება, რა თქმა უნდა, სტუდენტთა წინაშე დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა. ყველაფერი გაკეთდა, ეს შანსი რომ არ დაკარგულიყო. საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორების მხრიდან მონაწილეთა რაოდენობა არ იყო შეზღუდული. მთავარი იყო პროექტის მიერ წაყენებული კრიტერიუმების ზედმიწევნით დაკმაყოფილება. კონკურსი ორი ეტაპისაგან შედგებოდა. კრიტერიუმების მიხედვით, კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეებს ევალებოდათ ორგანიზატორების მიერ დაწესებული ხარისხის მაღალი სტანდარტების შესაბამისად განსაზღვრული სტილისა და ესთეტიკური ღირებულების პერსონალიზირებული მასალებით პორტფოლიოს შემუშავება და გადაგზავნა საკონკურსო ჯგუფში. მეორე ეტაპზე კი - ფინალში გასული მონაწილენი მიემგზავრებოდნენ იტალიის ქ. ტრიესტეში ITS საფინალო ჩვენებაში მონაწილეობის მისაღებად. ჩატარდა უდიდესი მუშაობა. ჩვენდა საამაყოდ, 80 ქვეყნის 200-მდე სასწავლებლიდან შერჩეულ ახალგაზრდა დიზაინერთა შორის ქართველმა კონკურსანტებმა თავი გამოიჩინეს და პირველი ეტაპი წარმატებულად ჩაატარეს. სამწუხაროდ, მეორე ეტაპზე 11 ფინალისტთა შორის ქართული ჯგუფი არ აღმოჩნდა... თუმცა, ვთვლი, რომ ასეთ მასშტაბურ და პრესტიჟულ კონკურსში წარმოჩენა და აღიარება, თავისთავად, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია ქართული მოდის განვითარების საქმეში. ITS პროექტის დამფუძნებელი და დირექტრი ბარბარა ფრანჩინი (Барбара Franchin), ჩემთვის გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს ჩვენი დიზაინერების გამორჩეულობას. მისი სიტყვებით, ჩვენი დიზაინერების დრო და ენერგია უკვალოდ არ დაკარგულა, როგორც სხვა კონკურსებზე ხდება ხოლმე. მათი ნამუშევრები გახდება პროექტის შემოქმედებითი არქივის ნაწილი. ამ არქივის საშუალებით Headhunter-ები ეძებენ და არჩევენ ახალგაზრდა დიზაინერებს ცნობილ ბრენდებში თანამშრომლობისათვის. შემოქმედებითი არქივი თავის მხრივ თანამშრომლობს მოდის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუციებთან, როგორებიც არიან the Costume Institute of the Metropolitan Museum ნიუ-იორკში, the Victoria & Albert Museum ლონდონში და the Musйe Galliera პარიზში.

ვინ აფასებდა მათ და რა პერსპექტივა ჰქონდათ გამარჯვების შემთხვევაში?

ნ.ბ. - ITS Fashion - ჟიურის შემადგენლო-

JONAH COYLEE





NATA TSKIPURISHVILI



ბაში არიან ორგანიზაცია OTB-ში გაერთიანებული საერთაშორისო მოდის კანონმდებელნი და ისეთი ბრენდები, როგორებიცაა Margiela, Marni, Diesel, Maison, Виктор & Rolf, state-of-the-art companies Staff International, Brave Kid, SWATCH; Swarovski ... და ბევრი სხვა. ასევე, იტალიის მემკვიდრეობისა და კულტურის სამინისტრო, ქ. ტრიესტეს ეკონომიკური განვითარების ფონდი მომუშავე კულტურის საკითხებზე (Fondazione CRTrieste), ქ. ტრიესტეს მერია, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ლიდერები და გავლენიანი ადამიანები. მოდის კონკურსის პრიზები ქართველ მონაწილეთა მხარდაჭერის უნიკალურ შანსს წარმოადგენდა, ვინაიდან გარდა მაღალი ფულადი პრიზებისა, სთავაზობდნენ სტაჟირებებსა და დასაქმებას ცნობილ ბრენდებში საერთაშორისო აღიარებულ ტალანტების გვერდით. მაგალითად, ITS FASHION Award ჩუქნის ფინალისტს შემდეგი წლის პროექტის showcase-ში უფასოდ მონაწილეობას. ასევე, გამარჯვებული ჯილდოვდებოდა €10000 + სტაჟირება ერთ-ერთ პა-



TAMAR TVALISHVILI

რტნიორულ პრესტიჟულ ბრენდში. ძალზე მნიშვნელოვანია ის სიურპრიზები, რომლებიც ელოდათ ფინალისტებს. მათზე წინასწარ არ საუბრობდნენ, მაგრამ, ცნობილია, რომ ფინალისტები ჩაერთვებოდნენ პარტნიორებისა და სპონსორების მიერ შემოთავაზებულ დიდ საერთაშორისო პროექტებში. ჩვენთვის სამწუხაროა, რომ ქართველ დიზაინერთა ხელისშემწყობთა ამ მრავალრიცხოვან სიაში საქართველოს კულტურის სამინისტროს ვერ მოვიხსენიებთ. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ, ქართული მხრიდან ამ, აუცილებელი და მნიშვნელოვანი პროექტისათვის, საკმარისი იყო სიმბოლური თანხის გამოყოფა. არ შეიძლება პატივისცემით არ მოვიხსენიოთ ის ადამიანები, ვინც უანგაროდ, გულის კარნახით იმოქმედა შექმნილ სიტუაციაში. დაინახეს ამ პროექტის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, თავისი წვლილი შეიტანეს დიზაინერთა წარმოჩენაში. მადლობა მხარდაჭერისთვის სამხატვრო აკადემიას (თსსა), ჟურნალ OK-ის, ფოტოგრაფ ბაკურ თვრინელს და განსაკუთრებული მადლობა "Look Models"-ის დამფუძნებულსა და ხელმძღვანელს ნინო ცქიტიშვილს და მის ულამაზეს გოგონებს.

ვინ არიან კონკურსის მონაწილენი ჩვენი მხრიდან?

ნ.მ. - მე და პროექტის მენეჯერი ხატია ნიკოლაიშვილი ვაწარმოებდით ინტენსიურ მოლაპარაკებას ITS ("International Talent Support")-ის წარმომადგენლებთან სამომავლო გეგმების თაობაზე. ჩვენ გეგმაშია კონტაქტების ბაზის გაფართოება და საერთაშორისო Fashion-სააგენტოებთან მუშაობის დაგეგმარება/განვითარება. ვიმედოვნებთ, ჩვენი საქმიანობით ხელს შევუწყობთ ქართველ სტუდენტებს საერთაშორისო გამოცდილებით გამდიდრებასა და განვითარებას პროფესიული მიმართულებით. როგორც უკვე აღვნიშნე, ITS კონკურსის მონაწილენი არიან სამხატვრო აკადემიის ახალი კურსდამთავრებულნი და დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. ესენი არიან: არუნაშვილი თაზო, გაფრინდაშვილი ანანო, გეგუჩაძე ეკატერინე, გელაშვილი ელენე, დუმბაძე ეკა, თვალაშვილი თამარ, კაპანაძე თათო, კვირაია თეონა, ობგაიძე თაია, ოდიშელიძე ანა, ორაგველიძე ტატო, ქოილი იონა, ცქიფურიშვილი ნატა, შავლაძე თათია. წარმატებებს ვუსურვებ მათ მომავალ შემოქმედებით ასპარეზზე. ჩვენი ახალგაზრდები მართლაც ნიჭიერები არიან. ამ ნიჭს შრომით აძლიერებენ, რაც განსაკუთრებით ფასდება. ამ კონკურსში მონაწილეობა, უდავოდ, გახდება მნიშვნელოვანი და აუცილებელი ეტაპი ქართული მოდის საერთაშორისო აღიარების გზაზე.

ესაუბრა: ანა ლაღიძე



ANANO GAPRINDASHVILI

არაჩვეულებრივი გამოფენა

ფოტოხელოვანი: ხატია ფარსმანაშვილი

ახალგაზრდა ფოტოხელოვანი ხატია ფარსმანაშვილი ნაყოფიერად მოღვაწეობს ფოტოგრაფიის სახელოვნებო სფეროში. იგი საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის წევრია. გაიარა ტრენინგი: Photolife studio-ში (დეკემბერი / 2013 - მარტი / 2014, ფოტოგრაფია).

აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის: International Art Village Utsera (2015 - აგვისტო / 2015 - აგვისტო / 2015, ფოტოგრაფი), სადაც გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის ხელოვანები (მხატვარი, არქიტექტორი, ფოტოგრაფი, დიზაინერი). პროექტი 10 დღის განმავლობაში გრძელდებოდა რაჭაში და სხვადასხვა აქტივობებს მოიცავდა. ასევე მონაწილეობდა ევროკავშირის პროექტში - SAY CHEESE (აპრილი / 2014 - აპრილი / 2014, ფოტოგრაფი), აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ფოტოგრაფთა მხარდასაჭერად, ფოტოხელოვნების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისთვის, რაც გულისხმობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (ბელარუსი, უკრაინა,საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა) ფოტოგრაფებს შორის თანამშრომლობის გამტკიცებას, ხარისხის გაუმჯობესებისკენ სწრაფვას, ნამუშევრების ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

მონაწილეობა აქვს მიღებული ჯგუფურ გამოფენებში: 2014/2015 წწ. თბილისი - ზურაბ წერეთლის მუზეუმი; რაჭაში - რაჭის კულტურის სახლი; თბილისი - პროკრედიტ ბანკის საოთაო ოფისი.







Unusual exhibition

PHOTO ARTIST: KHATIA PHARSMANASHVILI

A member of the Association of Photographers of Georgia. Training: Photolife studio – December, 2013 – March, 2014, photographer. Projects: International Art village Utsera 2015 – August, 2015, photographer. The International Art Village Utsera 2015 project united various artists from different countries (painters, architects, photographers, designers). The project lasted for 10 days and included various activities in Racha.

SAY CHEESE, April, 2014, photographer, the EU project in support of photographers from Eastern Partnership countries to create favorable conditions for the development of photography; to strengthen collaboration between photographers from Eastern Partnership countries (Belarus, Ukraine, Georgia, Azerbaijan, Armenia, Moldova); to improve quality, raise awareness in respect of the works of the photographers from the countries under review and enhance their competitiveness.

Group exhibitions in 2014-2015: Georgia - Zurab Tsereteli Museum of MOMA, Culture Center in Racha, ProCredit Bank Headquarters in Tbilisi.



თვითნასწავლი ხელოვანი

თვითნასწავლი ესთეტი ხელოვანი, მაია თენეიშვილი (პროფესიით ექიმი) ფაქტურული ნაკეთობების შექმნისას, სტილთან და მასალასთან „თამაშით“, როგორც ჩანს დიდ სიამოვნებას იღებს ძვირფასი ლითონის და ქვის „საზოგადოებაში“. მის მიერ შექმნილი სამკაულების და აქსესუარების ორნამენტალური ფანტაზია, იდენტური სიმძაფრით ანცვიფრებს, როგორც ობივატელს, ასევე ხელოვნების დახვეწილ შემფასებელს.

მაია თენეიშვილის სახელოსნოში - MT accessories - შექმნილმა ნივთებმა საიუველირო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები შეისისხლხორცეს. ამავდროულად, ისინი ასხივებენ რაღაც რადიკალურად ახალს, თითოეული მათგანი ღრმად გააზრებული, ნატიფი ნაკეთობაა.

MT accessories-ს ექსკლუზიური ნაკეთობები მრავალჯერ იქნა წარმოდგენილი გამოფენებზე, თბილისში. მაია თენეიშვილის საავტორო ნამუშევრებმა - ძვირფასი ლითონისა და ქვებისგან შექმნილმა აქსესუარებმა და სამკაულებმა, გამოფენებზე დიდი წარმატება მოიპოვა.

ნინო ლაღიძე







Self-taught artist

Self-taught artist aesthete Maia Teneishvili (A doctor by profession) apparently relishes the company of precious metals and stone while creating textural articles and experimenting with styles and textures. Her jewelry and accessories, performed in Its own technique, surprise with ornamental fantasy and refined composition.

Ornaments, created in Maia Teneishvili's studio - MT accessories - convey the best traditions of jewelry art, at the same time radiating modernity and perfection, without which true art is inconceivable.

Exclusive collection of MT accessories was presented at the exhibitions in Tbilisi. Maia Teneishvili's products – with precious metal and Semi-precious stone, ornaments and silver articles enjoyed tremendous success at the exhibitions.

NINO LAGHIDZE





ბახსენება
REMEMBER



2016 წლის სექტემბრის თვეში წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, მეგობარი, პედაგოგი, არქიტექტორი, გამორჩეული ხელოვანი...

მისი ნამოღვაწარი დარჩება...

ალეკო კორკოტაშვილი

1960 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი; 1966 წლიდან განაწილებით მუშაობს "თბილზნიეპში" უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1975 წლიდან - სპი-ის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტთა საპროექტო ბიუროს უფროსის მოადგილე. ამავდროულად №97 არქიტექტურული კონსტრუქციების კათედრის ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი; 1986 წლიდან 12 წლის განმავლობაში - არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სასწავლო ნაწილის უფროსი; 1992 წლიდან - დიზაინის №116 კათედრის გამგის მოადგილე, დოცენტი; 2001 წელს - დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა დოცენტის წოდება; 2003 წლის 14 აპრილიდან - გადაყვანილია დიზაინის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე; 2004 წლის 1 ნოემბრიდან რექტორის ბრძანებით ასრულებს დიზაინის №116 კათედრის გამგის მოვალეობას.

ალეკო კორკოტაშვილის პროექტებით აგებულია 17 ნაგებობა, განხორციელებულია რამდენიმე ათეული ინტერიერი, როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი. არის 18 სამეცნიერო შრომისა და მეთოდური მითითებების ავტორი. 2003-04 წლებში საქართველოში ჩატარებულ კონკურსებზე, საუკეთესო ინტერიერების გამოსავლენად, მოპოვებული აქვს მესამე პრემია და სერტიფიკატი. 2008 წლის ბაქოს საერთაშორისო კორკურსზე, ნომინაციაში „საუკეთესო ინტერიერი" ალეკო კორკოტაშვილის პროექტი აღინიშნა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო და მიენიჭა მეორე ადგილი.

2009 წლიდან დღემდე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი.



ALEKO KORKOTASHVILI

1960 - graduated from the architectural faculty of Georgian Polytechnic Institute; In 1996 was appointed assistant scientific officer in Tbilzniiep (Tbilisi Zonal Scientific-Research Design Institute); In 1967 started to work in Tbilisi Architectural Council at the position of honorary secretary and deputy director of design and budgeting department; Since 1975 Aleko Korkotashvili has been working at the architectural faculty of Georgian Polytechnic Institute: In 1975 - appointed deputy director of the students' design studio; assistant and senior teacher at the Chair of Architectural Constructions; In 1986-1998 - deputy dean, head of the teaching department; In 1992 - deputy head of Design Chair no. 116; associate professor; In 2001 - awarded the title of associate professor based on the decision of Scientific Council; In 2003 - appointed professor at the Design Chair; Since 2004 - manages the Design Chair no. 116.

17 constructions were built and several dozens of public and residential interiors were decorated according to Aleko Korkotashvili's projects; Aleko Korkotashvili is the author of 18 scientific publications and methodical recommendations. In 2003-2004 Aleko Korkotashvili took part in Georgia-based competitions aiming at identification of best interiors and won third prize and award certificate. In 2008, at the international architectural competition held in Baku, Aleko Korkotashvili's project was awarded the second prize in the "Best Interior" nomination.

Since 2009 till today - Georgian Technical University, full professor.


106.9 FM
106,9 FM
FORTUNA

STYLE

საინფორმაციო ჟურნალი

ქ. თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. №70ა
style_inbox@mail.ru
558 28-29-30